# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 14 დეკემბერი, 2013 წელი.

№242 (7370)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## მიშას რეფორმაცია და „ბანდმოსახლეობა“ ②

## ბარამიძემ პარლამენტი დატოვა, ჯაჭვლიანი კი ისევ იმუქრება ④

## ჯიბესქელი მოხელეები გაყინული ეკონომიკის ფონზე ⑤

## რეზო ამაშუკელი: ორიოდ სტრიქონი შალვა მატუაშვილის გამო ⑤

## კვირაძალს საკითხავი

## „დამიძახე, ლევან“... ⑦



# გარდაიცვალა ჭაბუა ამირეჯიბი



92 წლის ასაკში ქართველი მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი გარდაიცვალა. ჭაბუა ირაკლის ძე ამირეჯიბი 1921 წლის 18 ნოემბერს დაიბადა. მწერლის ბიოგრაფიული მონაცემების მიხედვით, პირველი მოთხრობა მწერალმა „რატომ არ დამაცადე“ 1960 წელს გამოაქვეყნა.

ჭაბუა ამირეჯიბს ეკუთვნის მოთხრობათა კრებულები: „გზა“, „ძია შოთას ბადია“ , არაკების კრებული „თაფლის წვეთი“, კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები, სცენარები, სტატიები კინემატოგრაფიის საკითხებზე.

ჭაბუა ამირეჯიბი ავტორია აგრეთვე მოთხრობებისა — „ჩემი მეჯღანე ბიძა“ , „ხარის აღსარება“, „გიორგი ბურდული“ და სხვა. მისი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია რომანი „დათა თუთაშხია“, აგრეთვე რომანი „გორა მბორგალი“.

2010 წლის 15 ოქტომბერს ჭაბუა ამირეჯიბი ბერად აღიკვეცა და სახელად დავითი ეწოდა. მწერლის ფიზიკური მდგომარეობის გამო ბერად აღკვეცის წესი ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტმა, მეუფე სერაფიმემ მისსავე სახლში აღასრულა. როგორც მეუფე სერაფიმემ მაშინ ჟურნალისტებს განუცხადა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ჭაბუა ამირეჯიბს ბერი დავითი ეწოდა, წმინდა მეფის დავით აღმაშენებლის სახელი. ბერ დავითს, კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით, წერის გაგრძელება შეეძლო. წესის შესრულების შემდეგ, ბერ დავითს ბერული სამოსელი, სკვნილი გადასცეს და ერზე, სამშობლოზე ლოცვის კურთხევა მისცეს.

## ჭაბუა ამირეჯიბს მთაწმინდაზე დაკრძალავენ

საქართველოს მთავრობის ინიციატივით და ჭაბუა ამირეჯიბის ოჯახთან შეთანხმებით, მიღებულია გადაწყვეტილება ჭაბუა ამირეჯიბის მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალვის შესახებ.

ამასთან, როგორც საქართველოს მთავრობის განცხადებაშია ნათქვამი, სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება სამების საკათედრო ტაძარში ორშაბათს, 16 დეკემბერს.

გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 17 დეკემბერს სამების საკათედრო ტაძრიდან.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული მწერლობის კლასიკოსი, თანამედროვე პროზის დიდოსტატი, ღირსეული საზოგადო მოღვაწე და მამულიშვილი

**ჭაბუა ამირეჯიბი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და სრულიად საქართველოს.

იხ. მე-3 გვ.

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ინფორმაცია

## ირაკლი ღარიბაშვილმა ახალი გუბერნატორები წარადგინა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ახალი გუბერნატორები წარადგინა. კახეთის გუბერნატორი იქნება **ირაკლი შიოლაშვილი,** იმერეთის გუბერნატორი **ზაზა მეფარიშვილი;** შიდა ქართლის გუბერნატორი **ზურაბ რუსიშვილი;** ქვემო ქართლის გუბერნატორი **გიორგი მღებრიშვილი;** სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი **ლევან შონია;** მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი **ნუგზარ ყიფიანი;** სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი **აკაკი მაჭუტაძე;** გურიის გუბერნატორი **გიორგი ჩხაიძე;** რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის გუბერნატორი **პარმენ მარგველიძე.**

რაც შეეხება ახალი გუბერნატორების პროფესიას და სამუშაო გამოცდილებას, ირაკლი ღარიბაშვილის ინფორმაციით, კახეთის გუბერნატორს ირაკლი შიოლაშვილს უმაღლესი იურიდიული განათლება აქვს და გამორჩეული გამგებელი იყო წლების განმავლობაში. „ჩემთვის არის მოდელი როგორ უნდა იყოს თანამედროვე გამგებელი და გუბერნატორი“, — აღნიშნა პრემიერმა.

იმერეთის გუბერნატორი ზაზა მეფარიშვილი ინჟინერ-ტექნოლოგია, აქვს ბუღალტერ-ფინანსისტის კვალიფიკაცია, აქვს საფინანსო საქმიანობის გამოცდილება, ასევე სამართალდამცავ სტრუქტურებში მუშაობის გამოცდილება.

შიდა ქართლის გუბერნატორი ზურაბ რუსიშვილი პროფესიით საგარეო ურთიერთობების მართვის სპეციალისტი, ფინანსისტია, მას აქვს გამოცდილება საფინანსო ორგანიზაციებში მუშაობის.

ქვემო ქართლის გუბერნატორი გიორგი მღებრიშვილი არის იურისტი, მუშაობდა სამართალდაცვის სისტემაში.

„სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ლევან შონია, ჩემი მინისტრობის დროს იყო ძალიან გამორჩეული სამხარეო პოლიციის უფროსი. იგი პროფესიით სამართალმცოდნეა, კვალიფიკაცია გავლილი აქვს აშშ-ში. ის მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში, იგი გახლავთ ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი და ღირსების ორდენის კავალერი. კარგი ავტორიტეტით სარგებლობს სამეგრელოში და კარგად იცის ამ კუთხის პრობლემები“, — აღნიშნა ღარიბაშვილმა.

მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი ნუგზარ ყიფინია პროფესიით რეჟისორია. „ის ნიჭიერი კაცია, ის გახლავთ წესიერებით გამორჩეული ადამიანი, სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით“, — აღნიშნა პრემიერმა.

სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი აკაკი მაჭუტაძე — საგარეო ეკონომიკური მიმართულებების სპეციალისტია, აქვს სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობის გამოცდილება. „არის ძალიან პატრიოტი კაცი და კარგი მენეჯერი“, — აღნიშნა ღარიბაშვილმა.

გურიის გუბერნატორი გიორგი ჩხაიძე - პროფესიით ეკონომისტია. „გიორგი ჩხაიძე წარმატებულია თავის საქმიანობაში, აქვს მენეჯერული საქმიანობის გამოცდილება და გურულებს ძალიან ღირსეული გუბერნატორი ეყოლებათ“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

რაჭა-ლეჩხუმის გუბერნატორი პარმენ მარგველიძე — ეკონომისტია, ფინანსებისა და საბანკო საქმის მცოდნე. „იგი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი და კარგი მენეჯერია, წარმოშობით რაჭიდანაა, კარგად იცის ამ კუთხის პრობლემები“, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ძველმა გუბერნატორებმა თანამდებობები ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს დატოვეს.

გაისად...

# 2014 წლის ბიუჯეტი მტკიცედ დაამტკიცეს

**პარლამენტმა 2014 წლის 9-მილიარდიანი ბიუჯეტი დაამტკიცა. მომავალი წლის მთავარი საფინანსო დოკუმენტის პროექტს მხარი 86-მა დეპუტატმა დაუჭირა. კენჭისყრის პროცესში საწინააღმდეგო აზრი არავის დაუფიქსირებია. ან კი ვინ დააფიქსირებდა, როცა ნაცმოძრაობიდან სხდომათა დარბაზში არავინ იყო, ხოლო უმრავლესობის დეპუტატებს შეკითხვა არ გასჩენიათ.**

ბიუჯეტის კორექტირებული პროექტი პარლამენტს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა წარუდგინა. მისი თქმით, 2014 წლის მთავარი საფინანსო დოკუმენტი ქვეყნის წინაშე არსებულ ყველა მნიშვნელოვან გამოწვევას ადეკვატურად უპასუხებს.

„პარლამენტმა ერთხმად დაამტკიცა საქართველოს 2014 წლის ბიუჯეტი. როგორც აღინიშნა, ბიუჯეტი ორიენტირებულია იმ პრობლემების გადაწყვეტაზე, რომელთა წინაშეც საქართველოა. პრიორიტეტებია ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, განათლება და სოფლის მეურნეობა. გარდა ამისა, ბიუჯეტი გააგრძელებს სერიოზულ ინვესტირებას საქართველოს ინფრასტრუქტურაში“, — განაცხადა ხადურმა.

პარლამენტის მიერ დამტკიცებული საბიუჯეტო პროექტის მიხედვით, 2014 წლისთვის მშპ-ს რეალური ზრდის პროგნოზი 5.0%-ს, ხოლო მშპ-ს დეფლატორისა — 3.5%-ს შეადგენს. ნომინალურ გამოხატულებაში მთლიანმა შიგა პროდუქტმა 29,3 მლრდ ლარს უნდა მიაღწიოს.

ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2014 წელს განსაზღვრულია 7 230.0 მლნ ლარით. საგადასახადო შემოსავლების ანგარიშებისას გათვალისწინებულია, რომ მომდევნო წლის დასაწყისში განხორციელდება დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნება დაახლოებით 180-200 მლნ ლარის ოდენობით, რაც გულისხმობს დაბალი ხელფასის მქონე პირების მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ნაწილის დაბრუნებას. გარდა ამისა, გათვალისწინებულია დაახლოებით 150.0 მლნ ლარის ოდენობით წინა წლებში ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნებაც, რომელიც დღეის მდგომარეობით 1 მლრდ ლარზე მეტია.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით 2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი 9 080.0 მლნ ლარს შეადგენს, რომელიც შემდეგი წყაროებიდან ფინანსდება: საგადასახადო შემოსავლები - 6 820.0 მლნ ლარი; გრანტები - 144,0 მლნ ლარი; სხვა შემოსავლები - 355.0 მლნ ლარი; სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან მისაღები სახსრები - 80.0 მლნ ლარი; გასულ წლებში გაცემული სესხების დაბრუნება - 70.0 მლნ ლარი; მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტი - 136.0 მლნ ლარი; საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები - 300,0 მლნ ლარი; ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილი საინვესტიციო კრედიტები — 600.0 მლნ ლარი; სხვადასხვა ვადიანობის მქონე სახელმწიფო საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვება — 400.0 მლნ ლარი; სახელმწიფო ხაზინაში არსებული თავისუფალი ნაშთის გამოყენება — 175,0 მლნ ლარი.

ამასთან, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მისაღები სახსრების მთლიანი მოცულობა გათვალისწინებულია 600,0 მლნ ლარით, საიდანაც 400,0 მლნ ლარი მოხმარდება სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებას, მათ შორის, სახელმწიფო



ვალების დაფარვას, რომლის მოცულობაც, როგორც ფინანსთა სამინისტრო განმარტავს, 2014 წელს რეკორდულია. 2013-14 წლებში სახელმწიფო ვალების მომსახურებასა და დაფარვაზე ჯამში 1 685,0 მლნ ლარია გათვალისწინებული, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება 2009 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან აღებული კრედიტის და 2008 წელს გამოშვებული ევროობლიგაციების დარჩენილი ნაწილის დაფარვა.

მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის კენჭისყრამ უმცირესობის წევრების მონაწილეობის გარეშე ჩაიარა, რადგან „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა პლენარული სხდომის პირველ ნაწილში ბარამიძესა და ჯაჭვლიანს შორის მომხდარი ინციდენტის გამო, პროტესტის ნიშნად სასესიო დარბაზი დატოვეს. შესაბამისად, ბიუჯეტის თაობაზე საპარლამენტო უმცირესობიდან კომენტარიც არავის გაუკეთებია. სამაგიეროდ, ახალ ბიუჯეტს მსწრაფლ გამოეხმაურა არასაპარლამენტო ოპოზიცია. პარტია „თავისუფალმა საქართველომ“ 2014 წლის ბიუჯეტი „ბანანის რესპუბლიკის“ ბიუჯეტს შეადარა.

როგორც პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა თენგიზ ომანიძემ განაცხადა, მთავრობა არ ცდილობს საზოგადოების ყველაზე მეტად დასაფასებელი სეგმენტის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

„2014 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის (რომელთა ანაზღაურება ისედაც საკმაოდ მაღალია) ხელფასების კიდევ უფრო მომატება. პედაგოგებისა და ექიმების შრომა კი კვლავ დაუფასებელია. მიუხედავად „ქართული ოცნების“ დაპირებისა, მომავალ წელს მათი ანაზღაურება არ გაიზრდება.

სამწუხაროა, რომ მთავრობა, ნაციონალების მსგავსად, ზრუნავს მხოლოდ მისი პოლიტიკური ინტერესებისთვის უფრო საჭირო პირების დაკმაყოფილებაზე და არ ცდილობს ჩვენი საზოგადოების ყველაზე მეტად დასაფასებელი სეგმენტის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ამგვარი მიდგომები დამახასიათებელია სწორედ „ბანანის რესპუბლიკებისთვის“ და არა სახელმწიფოსთვის, რომელიც ევროპულობაზე აცხადებს პრეტენზიას“, — განაცხადა თენგიზ ომანიძემ.

**გიორგი ბექაური**

ვაი დამარცხებულთ!

# მიშას რეფორმაცია და „ბანდმოსახლეობა“

**პარლამენტში ატეხილი ხმაური აფრასიძეების გამო ბევრად უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენა აღმოჩნდა, ვიდრე რუტინული ტიკი-ტომარაობა ე.წ „ევრომაიდანთან“ დაკავშირებით ჩვენს საკანონმდებლო ორგანოში.**

სოსო ჯაჭვლიანის პირით საქართველო ლაპარაკობდა!

ძალიან არაპოლიტკორექტულია, უტრირებულია, ეპატაჟურია, მაგრამ სიმართლეა: ის საქართველო ლაპარაკობდა, რომელიც „ვარდების რევოლუციონერებს“ გულწრფელად სურდათ გადაეკეთებინათ „სახედ და ხატად ევროპისა“ და რომელსაც, სინამდვილეში, არ უნდა გარდაქმნა, რაკი, დიახაც, ურჩევნია იმ თბილ და ტკბილ თავშესაფარში ცხოვრება, სადაც არ არსებობს კითხვები, არსებობს მხოლოდ პასუხები.

ისე, ბიძინა ივანიშვილს დიდი მადლობა ეთქმის ისტორიული საქართველოს სახელით. განსაკუთრებით კომიკურია „მენტალური უმცირესობისა“ და მისი გახელისუფლებული წარმომადგენლების (პირველ რიგში „რესპუბლიკელების“) მცდელობა, შეინარჩუნონ მადლიერების გრიმასი იმ გარემოცვაში, რომელთანაც მენტალურად და ღირებულებითი თვალსაზრისით საერთო სწორედაც არაფერი აქვთ.

რაც შეეხება სვანეთში ჩატარებულ სპეცოპერაციას, გამორიცხულია მიშასა და მის გუნდს მოეთმინა აფრასიძეების ფენომენი საქართველოში. წლების განმავლობაში ეს ოჯახი სვანეთის არაფორმალური ლიდერი იყო იმ ოდენობითა და აზრით, როგორც საერთოდ შესაძლებელია ჰყავდეს ლიდერი ამგვარ საზოგადოებას.

ისეთ მიკროსოციუმს, რომელშიც ისინი არსებობდნენ, ამერიკელმა სოციოლოგებმა უწოდეს „ბანდმოსახლეობა“, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა სვანეთის ან ეწერის, არამედ ჰარლემის აღსანიშნავად.

სრული დემაგოგიაა, თითქოს აფრასიძეები „სვანეთს ატერორებდნენ“, ხოლო „სვანები სულს ღაფავდნენ“, მათგან გათავისუფლებას მოითხოვდნენ და ა.შ. სინამდვილეში, ეს იყო ჰარლემისათვის ავებიან ახლადაღორძინებული „ხანჯლოსანთა“ ორდენის წარმომადგენლები: ღირსებისა და თავისუფლების ტკბილი ილუზია — ოჯახში თათრის შემოვარდნამდე, რომლისგანაც ის ხანჯალი ვერ დაგიცავს (ჯაბას უკვდავი ანეკდოტი გავიხსენოთ). დაგიცავდა და დაგიცავს მხოლოდ სახელმწიფო,



ზოგადად დამახასიათებელი ფენომენი, როდესაც ადამიანები არაფორმალური კავშირებითა და პირადი ურთიერთობებით ცდილობენ კონკრეტული, ესე იგი საკუთარი პრობლემების გადაწყვეტას იმათთან „ჩაწყობით“, ვისაც უფრო მეტი „ნიგერის“ გამოყვანა შეუძლია და იარაღიც მეტი აქვს. ხოლო ჰარლემის ქუჩებში ქროლვით მიმავალ პოლიციის ჯავშნოსან მანქანას გულგრილად გააყოლებენ თვალს. დედიმათი შვილები არიან პოლიციელები, მანქანას გააჩერებენ და გარეთ გამოვლენ.

პრობლემა აფრასიძეები კი არ იყო, არამედ ჰარლემისეული „ბანდმოსახლეობა“, რომელიც იმ ძველი მენტალობის მატარებელია, რასაც ესოდენ სათუთად ელოლიკოლექტიური გონი, საერთო პასუხისმგებლობა და ჯანსაღი ღირებულებები.

ნიშანდობლივია, რომ არანაირი მასშტაბური საპროტესტო აქციები აფრასიძეებთან დაკავშირებით არ გამართულა. შეიარაღებული წინააღმდეგობა რომ არ ყოფილა — კი ბატონო, მაგრამ მერე რა უშლიდა ხელს ამგვარ აქციებს? არც არაფერი! მაგრამ, როდესაც, სინამდვილეში, საერთო ღირებულებები არ არსებობს, იქ მათი გამოხატვაც არ იქნება.

მიშა და მისი გუნდი სრულიად ფუჭად ცდილობდნენ ამ მენტალობის შეცვლას. ეს დებულება სულაც არ ნიშნავს, რომ არასწორად იქცეოდნენ. „ფუჭად“ არ არის იგივე, რაც „არასწორად“. მაგრამ ნებისმიერ რეფორმაციას ერთი შეუვალი თვისება აქვს: ვერ ასამართლებენ, ვერ ურტყამენ და დედას ვერ აგინებენ მხოლოდ გამარჯვებულებს. დამარცხებულებს კი უარესს უშვრებიან! ამიტომაც, ახლა ნუ უკვირთ წიხლი ფეხებს შუა.

საქართველოს მაგალითი ადასტურებს, რომ ისეთი დონისა და სიღრმის მენტალური რევოლუცია, როგორიც ამ ჩვენმა თვალებალაპლაპებულმა ახალგაზრდა რეფორმატორებმა ჩაიფიქრეს და წამოიწყეს „ვარდების რევოლუციით“, დემოკრატიული სისტემის ფარგლებში არ (ვერ) ტარდება. ვგულისხმობ ყველაზე ფართო ჩარჩოს: ანუ, მიშას რეჟიმი ნამდვილად ავტორიტარული იყო, მაგრამ ავტორიტარული — დემოკრატიის უფრო ფართო წრეში, რაკი არჩევნებზე უარს ვერ ამბობდა. ან კი როგორ იტყოდა? ჰოდა, ადრე თუ გვიან, ამ წრეში აუცილებლად გამოჩნდება „გმირი“ ცალ ხელში ცოცხით და მეორე ხელში ვიდეოკამერით, რომელიც მენტალურ უმრავლესობას წინასაარჩევნოდ ამბოხისა და მოძალადეთა (!) დამხობის საშუალებას მისცემს.

ამიტომაც, ახლა ბედნიერნი უნდა იყონ, თუ კიდევ იოლად გადარჩებიან. აბა როგორ გინდათ? ვაი დამარცხებულთ! არ შეიძლება სცადო „ბანდმოსახლეობის“ ქცევა ევროპულ ერად ისე, რომ შენი ობიექტური შესაძლებლობები და რესურსები არ გათვალო. არადა, ნამდვილად არ ჰგავდნენ ქარის წისქვილებთან მებრძოლ რაინდებს. უფრო ვნებიანი ავანტიურა იყო, ვიდრე ქარის წისქვილებთან კეთილშობილი ბრძოლა, რომელიც, რასაკვირველია, დამთავრდა ისე, როგორც უნდა დამთავრებულიყო: სრული მარაზმით და „ბანდმოსახლეობის“ ლეგიტიმური წარმომადგენლობით.

**მიხეილ გეწაძე**

## გიორგი მარგველაშვილი მწუხარებას გამოთქვამს

„დღეს, როდესაც ჭაბუა ამირეჯიბი ჩვენს გვერდით აღარ არის, რთულია სიტყვებით გადმოსცე ის უდიდესი გულისტკივილი, რითაც მისმა გარდაცვალებამ აგვავსო. მისი დიდი შემოქმედება ამოუწურავი საგანძურია, რომელთან ყოველი შეხვედრისას სამართლიანობის, თავისუფლების სიყვარულისა და ჰუმანიზმის გაკვეთილებს ვიღებთ. ხოლო მისი შეუპოვარი, გმირული ცხოვრების ისტორია მუდამ სამშობლოსა და ხალხის უანგარო მსახურების სახელმძღვანელოდ დარჩება. ბატონი ჭაბუას დიდ ოჯახთან, მთელ საქართველოსთან ერთად ვწუხვარ ამ უდიდეს დანაკლისს. ღრმად მწამს — ჭაბუა ამირეჯიბის უკვდავი, მსოფლიო მასშტაბის შემოქმედება და ბიოგრაფია მუდამ იქნება შთაგონების წყარო ყველასთვის, ვისთვისაც თავისუფლების, სამართლიანობისა და ჰუმანიზმის იდეალები — ცხოვრების მთავარი ორიენტირებია“, — აღნიშნულია პრეზიდენტის განცხადებაში.

## ირაკლი ღარიბაშვილი მთელ საქართველოს უსამძიმრებს

„ჩვენგან წავიდა თანამედროვეობის უდიდესი კლასიკოსი, დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, სრულიად გამორჩეული ადამიანი — ჭაბუა ამირეჯიბი. ჭაბუა ამირეჯიბის შემოქმედება არა მარტო ქართული მწერლობის, არამედ მსოფლიო ლიტერატურის საგანძურად იქცა. მისი ლიტერატურული სახეები ზოგადსაკაცობრიო მასშტაბისაა და არასდროს დაკარგავს აქტუალობას. ვუსამძიმრებ და თანაგრძნობას ვუცხადებ ჭაბუა ამირეჯიბის ოჯახს. მთელ საქართველოს ვუსამძიმრებ დიდი ერისკაცის გარდაცვალებას“, — აღნიშნულია ღარიბაშვილის განცხადებაში.

## ბიძინა ივანიშვილი მწუხარებას გამოთქვამს

„ღრმა მწუხარება მინდა გამოვთქვა ჭაბუა ამირეჯიბის გარდაცვალების გამო. ქართველმა ხალხმა დაკარგა უდიდესი შემოქმედი და მამულიშვილი. დღეს ამ დიდ ტკივილს დიდი სიამაყეც ახლავს თან — ბედნიერია ერი, რომელსაც ასეთი კლასიკოსი ჰყავს. ვიზიარებ ჭაბუა ამირეჯიბის ოჯახის მწუხარებას, სამძიმარს ვუცხადებ ქართველ ხალხს. ახლა, როცა უკვე ჭაბუა ამირეჯიბის სახელი ისტორიის კუთვნილებად იქცა, მისი შეგონება — „ჭკუით, ქართველებო!“ — კიდევ უფრო დიდ დატვირთვას იძენს და მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. მჯერა, ჭაბუა ამირეჯიბის ეს შეგონება ქართველი ერისადმი უკვალოდ არ ჩაივლის და მის სამშობლოს ისეთი მომავალი ექნება, როგორზეც დიდი მწერალი ოცნებობდა“, — აღნიშნულია ბიძინა ივანიშვილის განცხადებაში.

## საქართველოსთვის ეს აუნაზღაურებელი დანაკლისია

დიდი გულისტკივილით შევიტყვე ჩემი მეგობრის, თანამედროვე კლასიკოსის ჭაბუა ამირეჯიბის გარდაცვალების ამბავი, კიდევ ერთი დიდი ქართველი წავიდა ჩვენგან, საქართველოსთვის ეს აუნაზღაურებელი დანაკლისია. მეამაყება, რომ მე და ბატონი ჭაბუა ყოველთვის ვიყავით თანამოაზრეები, ჩემთვის დიდი პატივი იყო, როდესაც ჩემს მემუარებს წინასიტყვაობა სწორედ ბატონმა ჭაბუამ დაუწერა. ნათელი პიროვნება გახლდათ ბატონი ჭაბუა და ნათელში ამყოფოს მისი სული!

ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 13 დეკემბერი, 2013 წელი.

---

ედუარდ შევარდნაძე, მანანა და პაატა შევარდნაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდი ქართველი, ჩვენი ეპოქის დიდი მწერალი, უკეთილშობილესი ადამიანი, ოჯახის მეგობარი

**ჭაბუა ამირეჯიბი**

და სამძიმარს უცხადებენ ქალბატონ თამარ ჯავახიშვილს, ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

---

მაგთიკომის თანამშრომლები მწუხარებას გამოხატავენ დიდი ქართველი მწერლის

**ჭაბუა ამირეჯიბის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ მის ოჯახს და მთელ საქართველოს.

---

მანანა შევარდნაძე და გია ჯოხთაბერიძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

**ჭაბუა ამირეჯიბის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.



## კლასიკოსის შეგონება

...დღემდე არსებული დიდი სახელმწიფოების ძირითადი თავისებურება გაფართოებისაკენ, ახალი ხალხების დაპყრობისაკენ, მათი მიწა-წყლის მიტაცებისაკენ, მსოფლიო ბატონობისაკენ სწრაფვაა. მათ იმპერიები ეწოდებათ, ხოლო ეს გამუდმებულ საომარ მზადყოფნას ან უშუალოდ დაპყრობითი ომების წარმოებას ნიშნავს. ომის ძირითადი მასალა მეომარია. ძლევამოსილების უმნიშვნელოვანესი პირობა ჯარისკაცის მძაფრი საომარი განწყობილებაა. თავდაცვითი ომების მამოძრავებელი ძალა მამულიშვილობა, სამშობლოს სიყვარულია და პირიქით: ვინ და რა გზით შეძლებს ადამიანი დაპყრობისათვის, ჟლეტისა და ნადგურცემისათვის აღძრას, დაატოვებინოს ოჯახი, სახლ-კარი, სამშობლო, უცხო მიწაზე სასიკვდილოდ წაიყვანოს, თუ წინასწარ გულში სიძულვილი არ ჩაეთესა. დაპყრობითი ომის მამოძრავებელი ძალა სიძულვილი, ბოროტება და მომხვეჭელური სულია. ადამიანში ამ მდაბალი თვისებების აღძვრა-გაღვივება, პიროვნების ჭეშმარიტი დანიშნულების რღვევა იმპერიის ბუნებიდან მომდინარეობს, მისი პირდაპირი მიზანია, მისი არსებობის გარდაუვალი, აუცილებელი შედეგია... პიროვნება, რომელშიც სიკეთე, სიყვარული და მშვენიერების გრძნობა სხვა თვისებებს სჭარბობს, შეუძლებელია არ იყოს იმპერიისა და მისი კანონების აქტიური მოწინააღმდეგე და იგი იმ ზომით არის მოწინააღმდეგე, რა ზომითაც არის ხსენებული ღირსებები მასში მოცემული... სიკეთე, უპირველესად ყოვლისა, ერისათვის სამსახური და კაცთათვის მაგალითია; სიყვარული — უანგარობასა და პირუთვნელობაში გამოხატული კეთილმოსურნე დამოკიდებულებაა სამშობლოსა და სამყაროს მიმართ; მშვენიერების გრძნობას მშობლიური მიწა-წყლის სილამაზე და ერის ზნეობრივ-კულტურული საგანძური აღვივებს. ყოველივე ამას ზიარებული კაცი მამულიშვილია, პატრიოტია.

ჭაბუა ამირეჯიბი

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, გამოჩენილი ქართველი მწერალი

**ჭაბუა ამირეჯიბი (ბერი დავითი)**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და სრულიად საქართველოს.

---

მწუხარებას გამოვთქვამ ჩვენი საყვარელი მწერლის და მამულიშვილის

**ჭაბუა ამირეჯიბის**

გარდაცვალების გამო. თითოეულ ჩვენგანს ძვირფას საგანძურად დარჩება მისი შემოქმედება, ხოლო მაგალითად უსაზღვრო სიყვარული სამშობლოს მიმართ.

ვუსამძიმრებ ბატონი ჭაბუას ოჯახის წევრებს და სრულიად საქართველოს

ნოდარ ხადური

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

---

აფხაზეთის ხელისუფლება ღრმა მწუხარებას გამოხატავს ჭეშმარიტი მამულიშვილის, ღირსეული მოქალაქის, ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, ქართველი ერის საუკეთესო თვისებების, მაღალი სულიერი და ზნეობრივი ღირსებების მატარებელი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სახალხო მწერლის

**ჭაბუა ამირეჯიბის**

გარდაცვალების გამო და თანადგომას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## სახალხო მწერალი

მე რომ ჩავდექი რიგში, იქ უკვე საუბრობდნენ ერთმანეთში ჭაბუა ამირეჯიბის გარდაცვალების გამო. ესენი ჩემი ძველი ნაცნობები არიან, თვეში ერთხელ ბანკის ფილიალთან ვხვდებით ხოლმე ერთმანეთს პენსიის ასაღებად.

— გაიგეთ?.. ჭაბუა ამირეჯიბი გარდაცვლილა...

— კი, წუხელ გავიგე...

— დიდი კაცი დავკარგეთ, დიდი მწერალი...

— მაშ!.. შეიძლება ითქვას, რომ ახლოს ვიცნობდი, ორი წელი ვმუშაობდი ბატონი ჭაბუას გვერდით... (უკვე რამდენიმე კაცი ინტერესით შემომცქერის).

— საუკუნის რომანი კი დადო და... — ამბობს ერთი, — ხალხს რომ ჰყავდა მონატრებული, სწორედ ისეთი გმირი დაგვიხატა...

— რამდენჯერ გაიქცა?.. ჩვიდმეტჯერო, მგონი...

— რა მნიშვნელობა აქვს, კაცი ვერ ეგუებოდა ციხესა და საპყრობილეს...

— იქ დაწერა, მგონი „დათა თუთაშხია“, არა?

— მე ერთ კაცს ვიცნობდი, ჰყვებოდა, როგორ ამარაგებდნენ ჭაბუას საწერი ქაღალდით...

— მერე, ქართული შურით, ისიც კი დაიწყეს „თუთაშხია“ მისი დაწერილი არააო...

— მერე, გჯერათ, იმ ხალხის? — ვერთვები საუბარში, — ორი წელიწადი ვმუშაობდი მის გვერდით, ეს იყო ჩემთვის უძვირფასესი წლები... იჯდა თავის კაბინეტში ბატონი ჭაბუა, ეწეოდა ჩიბუხს, სვამდა მუქ ჩაის, შიგადაშიგ, გამოგვიტანდა ხოლმე „დათა თუთაშხიას“ ახალთახალ თავებს და გვიკითხავდა თანამშრომლებს...

— მაგარი კი იყო და... არ გინდა, კაცს, ამდენი დავიდარაბის გადატანა?.. მერე, მოგვიანებით, ვაჟიშვილის — ირაკლის აფხაზეთის ომში დაღუპვის გაგება?.. ფაქტია, რომ ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“, დამიჯერეთ, საუკუნეებს გასწვდება, დათას ზნეობა ყოველთვის იქნება სამაგალითო თაობებისთვის...

...შესრულდა 10 საათი, დაცვის პოლიციის ბიჭებმა გაგვიღეს ბანკის კარები და შევედით შიგ პენსიის ასაღებად, ეს უბრალო მომაკვდავები, მაგრამ ფიქრი დიდი მწერლის ბედზე, დარწმუნებული ვარ, ისევ ტრიალებდა ჩვენს გონებაში.

...მოგვიანებით, როდესაც დიდი ჭაბუა ამირეჯიბის ხსოვნის სადღეგრძელოს ვსვამდი, გონებაში ტრიალებდა გალაკტიონის სტრიქონები: „შენ სივრცეებმა დაგიბინადრეს, შენ უკვდავების ხარ ბინადარი!“ ეს, სწორედაც რომ, ჭაბუა ამირეჯიბსაც ეკუთვნოდა.

ვილენ მარდალეიშვილი

# ბარამიძემ პარლამენტი დატოვა, ჯაჭვლიანი კი ისევ იმუქრება



**„ვაი მაგათ პატრონს, როგორ შეიძლება ნაძირალა ბარამიძეს, ბოდიში მოვუხადო?“, — ამ რეპლიკით მიმართა for.ge-ს დეპუტატმა სოსო ჯაჭვლიანმა, რომლისგანაც ოპოზიცია ბოდიშის მოხდას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში უმცირესობა საპარლამენტო ბოიკოტით იმუქრება.**

**„ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ბოიკოტის რეჟიმში უკვე გადავიდნენ და ისინი პლენარულ სხდომას არ ესწრებიან, თუმცა, რამდენ ხანს გასტანს მათი პროტესტი, ეს გაურკვეველია, რადგან სოსო ჯაჭვლიანი გიორგი ბარამიძისთვის ბოდიშის მოხდას არ აპირებს და პირიქით, თანაგუნდელებს ნაციონალების „გაბლატავებაში“ ადანაშაულებს.**

**ჯაჭვლიანი ირწმუნება, რომ მას პარლამენტში „მუშტი-კრივის“ გამართვა გამიზნული არ ჰქონდა და იმდღევანდელ პლენარულ სხდომაზე სხვა განცხადების გაკეთებას გეგმავდა, მაგრამ ის გიორგი ბარამიძის იმ განცხადებამ გააღიზიანა, რომელიც ვიცე-სპიკერმა უკრაინაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით გააკეთა.**

**დეპუტატი ამბობს, რომ მას უკრაინის მხარდაჭერის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, თუმცა მას ცალმხრივი დემოკრატიის არ ესმის.**

**„ეს არაკაცი და ნაძირალა ბარამიძე დემოკრატიაზე ლაპარაკობს? რატომ არ უნდა დავუჭიროთ მხარი უკრაინას, მაგრამ ამას ვინ ლაპარაკობს, ბარამიძე? ცალმხრივი დემოკრატია არ ვიცი, რადგან მაშინ 7 ნოემბერი და 26 მაისი დავგმოთ. ყველას კარგად ახსოვს, რაც მოხდა და როგორ გაუსწორდნენ ხალხს. ქართველ საზოგადოებას ბოდიშს ვუხდი, თორემ ბარამიძე უარესის ღირსია. რისი ღირსიცაა, ეს საზოგადოებამ იცის და ამას თქვენ არ გაკადრებთ! რა ნაციონალურ შუღლზეა ლაპარაკი? ხომ არ დაავიწყდათ, რომ სვანეთი მათ ააწიოკეს?! მართლა ჩმორი და არაკაცი გამოდის და რაზე ლაპარაკობს?! ბარამიძემ ტელევიზიით თქვა, — იმიტომ ჩაატარეს სპეცოპერაცია, რომ სვანები უნდა დაეშინებინათ. საზოგადოებაში ნიჰილიზმია დასადგურებული და ამბობენ, როგორ „გააბლატავეს“ ნაციონალებიო! ამაში წილი ჩვენც მიგვიძღვის, რადგან მკვლელი ვიცე-სპიკერად რომ წარმოადგინეს და ის ჟივილ-ხივილით დავამტკიცეთ, კარგი იყო?! ვაი მაგათ პატრონს, როგორ შეიძლება, ნაძირალა ბარამიძეს, ბოდიში მოვუხადო?!“,** — განუცხადა for.ge-ს ჯაჭვლიანმა, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები გიორგი ბარამიძის მიმართ ანტიკამპანიის წარმართვასა და კუთხური შუღლის გაღვივებაში ადანაშაულებენ.

for.ge-სთან საუბარში აკაკი ბობოხიძე აცხადებს, რომ უკრაინის პროცესების პარალელურად, სერიოზული პროცესები საქართველოშიც იწყება.

მისი თქმით, ბარამიძეს არასოდეს უთქვამს, რომ წინა ხელისუფლება სვანების „დაჩმორებას“ ცდილობდა.

**„როცა, დაპირისპირების მიზეზი ის დეპუტატი გახდა, რომელიც იმ პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი იყო, რომელიც თავის დროზე, პრორუსული ინტერესების გატარებაში იყო შემჩნეული, ეს შემთხვევითი არ არის. როცა საუბარია სამეგრელოში, სვანეთსა და სამცხე-ჯავახეთში პრობლემების შექმნაზე და ასეთ დროს მსგავს განცხადებას აკეთებ, ეს მცდელობაა ეთნოკუთხური შუღლის გაჩაღებისა. როგორც ჩანს, ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომელთაც არ აწყობთ, რომ უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღონ. მანამ, სანამ კუთხური ნიშნის გამღვივებლები დარბაზში იქნებიან, მუშაობას აზრი არ აქვს“,** — აცხადებს ბობოხიძე, რომლის პათოსსაც მისი თანაგუნდელები სერგო რატიანი და გოკა გაბაშვილიც იზიარებენ.

სერგო რატიანის შეფასებით, პარლამენტში მომხდარი დაპირისპირება განზრახული პროვოკაცია იყო.

დეპუტატის მოსაზრებით, ერთი კვირის განმავლობაში, ბარამიძე უკრაინაში საქართველოს ინტერესებს იცავდა და მის მიმართ ანტიკამპანია აგორდა.

**„გამოვრიცხავ, რომ ეს პიროვნული დაპირისპირება ყოფილიყო. ერთი წელია, აქ ვართ და არანაირი პიროვნული მომენტი არ ყოფილა. ეს იყო გია ბარამიძის მიმართ დაწყებული აქცია, რომელიც უკრაინაში საქართველოს ღირსებას იცავდა. ეს იყო მცდელობა კუთხური შუღლის გაღვივებისთვის და ვინ არის სვანი და ვინ არა, ამას ვნახავთ! ეს არის ის, რაც რუსებს უნდათ“,** — განუცხადა for.ge-ს რატიანმა, რომლის მსგავსადაც გაბაშვილიც პროვოკაციაზე აპელირებს.

დეპუტატის თქმით, თავხედური პროვოკაცია იყო, რომელიც ერთ-ერთმა ყველაზე აგრესიულმა დეპუტატმა ჯაჭვლიანმა განახორციელა.

**„სასაუბრო იყო ბიუჯეტზე, სადაც ორი მილიარდით გააღარიბეს ბიუჯეტი და საუბარი გვსურდა უკრაინაზეც, მაგრამ ამ ვითარებაში, როცა ძალიან საშიშ და უზნეო პროვოკაციაზე მოდის უმრავლესობა, არ ვიმუშავებთ“,** — აცხადებს გაბაშვილი.

რაც შეეხება ბარამიძეს, მას უმცირესობამ პარლამენტის შენობა დაატოვებინა, მაგრამ მისი ჩაწერა მაინც შევძელით.

თანაგუნდელების მსგავსად, ბარამიძეც დაგეგმილ პროვოკაციაზე საუბრობს და ამბობს, რომ ჯაჭვლიანის გამოსვლისას, მისი ჟესტიკულაცია აბსოლუტურად ადეკვატური იყო.

ვიცე-სპიკერის განცხადებით, ჯაჭვლიანთან სვანეთის გაიგივება, სრული უზნეობა და აბსოლუტური შეშლილობაა.

**„თუ ამ ადამიანს მიაჩნდა, რომ ასეთი საშინელება ჩაგვიდენია, ამ პარლამენტში ერთად ვართ და ხმა რატომ არ ამოუღია?! ამასთან, თუ სამართალდამცავ ორგანოებს რაიმე დეტალების გარკვევა აინტერესებთ — თუ როგორ მოხდა სპეცოპერაციის წარმატებით ჩატარება, მზად ვარ, ყველა დეტალზე ვისაუბრო. ხოლო, ის სისულელეები, რასაც ჯაჭვლიანი მოყვა, აბსოლუტურად არ შეესაბამება სინამდვილეს. ამიტომ, ეს ინსინუაციები და ცილისმწამებლური განცხადებები უნდა დასრულდეს. როცა გადაწყვეტილება მივიღე, რომ შს მინისტრი ვყოფილიყავი და კრიმინალების წინააღმდეგ მებრძოლა, კარგად ვიცოდი, რომ ეს დიდ ხიფათს შეიცავდა, მაგრამ უკან არასოდეს დამიხევია და არც მომავალში ვაპირებ უკან დახევას ამგვარ ხულიგნურ გამოხტომებსა თუ მუქარებზე“,** — აღნიშნა ბარამიძემ, რომელსაც მმართველი გუნდის ლიდერები ჟესტიკულაციის გამო აკრიტიკებენ.

უმრავლესობა დღეს მომხდარ დაპირისპირებაში გასაოცარს ვერაფერს ამჩნევს, თუმცა, ამბობს, რომ დღევანდელი ინციდენტი იმ სიძულვილის შედეგია, რომელსაც ნაციონალები აღვივებდნენ.

გია ვოლსკი მიიჩნევს, რომ უსიამოვნო ფაქტი მოხდა, მაგრამ მსგავსი ფაქტები, სხვა ქვეყნებშიც ხდება.

**„როცა, ადამიანი ასეთ სენსიტიურ თემაზე საუბრობს, დამამცირებელი ჟესტით არ უნდა უპასუხო. ასეთ დროს, კატეგორიულად მიუღებელია, რომ ოპონენტს დამამცირებელი ჟესტი აჩვენო. ამასთან, ბარამიძემ წამოისროლა შეურაცხმყოფელი სიტყვა, რის გამოც, ჯაჭვლიანმა საკუთარი გამოსვლაც ვერ დაასრულა“,** — აცხადებს ვოლსკი, რომლის ფრაქციის წევრიც არის სოსო ჯაჭვლიანი.

ვიცე-სპიკერი ზურაბ აბაშიძე კი აღნიშნავს, რომ დეპუტატები ემოციებს ვერ იკავებენ, მაგრამ სასურველია, რომ კანონმდებლები ერთმანეთს სიტყვით დაუპირისპირდნენ.

**„მსგავსი ფაქტი, არც ჩვენს პარლამენტშია პირველი შემთხვევა და არც სხვა ქვეყნების. გასაკვირი არაფერია, მაგრამ არსებობს ემოციები და არსებობს დამოკიდებულება, რაც უმცირესობას ჰქონდა. სამწუხაროდ, ის ყველაფერი რაც მოხდა, იმ სიძულვილის შედეგია, რომელსაც ნაციონალები აღვივებდნენ“,** — დასძენს დეპუტატი.

ამ დროისთვის, პარლამენტში ინციდენტი ამოწურულია. თუმცა, ჯაჭვლიანსა და ბარამიძეს შორის მომხდარ ფიზიკურ დაპირისპირებას გაგრძელებაც ჰქონდა. პოლიტიკური „გარჩევები“ იყო როგორც უმრავლესობაში, ასევე უმცირესობაშიც. ჯაჭვლიანს ვოლსკი „გაესაუბრა“, ხოლო დეპუტატებისთვის განკუთვნილი ოთახიდან ნაციონალების ხმამაღალი საუბარი გამოდიოდა. ოპოზიციონერებმა „პროვოკაციის“ დამკვეთად ნორა კვიციანიც დაასახელეს. თუმცა, ჯაჭვლიანის გაღიზიანება ბარამიძის იმ ჟესტმაც გამოიწვია, სადაც მან ხელი საფეთქელთან მიიდო და იგულისხმა „ვერ არისო“.

**თეონა მანაგაძე**

---

**◉ კაკალ გულში**

## წერტილოვანი ფრაზები

● პიროვნება, რომელიც მანდელას გამოსამშვიდობებელ საღამოზე გამომსვლელთა სიტყვას ჟესტების ენაზე თარგმნიდა — თაღლითი აღმოჩნდა .

● სანამ ახალ ტრაქტატს არ გავაფორმებთ, მანამდე უნდა ვუყუროთ თურქულ სერიალებს? P.S. წერეთ თურქული შრიფტით!

● თბილისში თურქული საათია.

● აჰაააა, თოვლი მაქვს. ახლა ბუხარი, მწვადი და წითელი ღვინო მაკლია სანთლების შუქზე.

● აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ავთანდილ ბერიძისათვის 83 000-ლარიან 2014 წლის „ტოიოტა პრადოს“ შეიძენენ!!! წყარო - აჭარის ტელევიზია — 20:40

● გულწრფელად მინდა დიდი პატივისცემა გამოვხატო მიშა სააკაშვილის და იულია ტიმოშენკოს ლობისტებისადმი, როგორც სუპერ პროფესიონალი ადამიანებისადმი.. ის, რაც დღეს ხდება უკრაინაში, ის, რაც დღეს ხდება უკრაინის გარეთ უკრაინასთან მიმართებაში, ის, რაც დღეს მოხდა ევროპარლამენტში, ამ გენიოსი ადამიანების პროფესიონალიზმის შედეგია... ბრავო, ჩემო მეგობრებო და კონკურენტებო, თქვენიდან ბევრი რამე ვისწავლე ამ 9 წლის განმავლობაში და აი ეს უკრაინის მოვლენები ხო საერთოდ სახელმძღვანელოდ უნდა გამოიცეს სათაურით „ლობიზმი, როგორც მსოფლიოს მმართველობის ხელოვნება“...

● მდააა. დოლარი გარბის, მისდევენ ფასები.

● თოვს, გვიხარია, კარგია თოვა! ჭადრებს, ნაძვებს, ფიჭვებს დაათოვა და სხვა ხეებსაც, მაგრამ იმ ხეების სახელები არ ვიცი. ეგეც მიხარია. ისე მიხარია, რომ აუ მართლა დაგლიჯა თეთრმა თოვლმა. თბილისში, განსაკუთრებით ვარკეთილს უხდება ეს თოვლი. ლამაზი შენობები უფრო ბევრად გალამაზდა. დაჟე ხრუშოვკებიც კი, ხოდა ძალიან კარგია თოვა.

● ვინც მაია ასათიანს უყურებს, მისი თანამონაწილეა.

● ღვინოს რო გადაიღებ სხვა ჭურჭელში, ზუსტად არ ჩაეტევა და მოგრჩება სადღაც 1 ბოთლი, აი ეგ მიდის მაგრად კომპიუტერთან, — დასძინა ბატონმა სოლომონმა!

ამოკრიბა
**გია გაბრიჩიძე**

---

**◉ ალიან-ჩალიანი**

## მეცნიერების, ტექნოლოგიის, ინოვაციის პროექტში 20 ქვეყანასთან ერთად ჩავერთვებით

**ვაშინგტონში**, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში, აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში, ხალხთაშორისი ურთიერთობებისა და კულტურული გაცვლების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამუშაო ჯგუფს ქართული მხრიდან თანათავმჯდომარეობდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე მარიამ ჯაში.

ამერიკული მხრიდან შეხვედრის თანათავმჯდომარეები იყვნენ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე მარკ ტონერი და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ადმინისტრატორის თანაშემწის მოადგილე ჯონათან ჰეილი.

სამუშაო ჯგუფის დღის წესრიგის ერთ-ერთ მთავარ თემას წარმოადგენდა, საქართველოს რეინტეგრაციის პოლიტიკა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობასთან ურთიერთობის გაღრმავებისა და გააქტიურებისათვის.

ამერიკელ კოლეგებთან ერთად განიხილეს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული უსაფრთხოების გარემო, მავთულხლართებისა და ღობეების უკანონო დამონტაჟება და ჰუმანიტარული მდგომარეობა.

შეხვედრაზე აღინიშნა აშშ-სა და საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევის მნიშვნელობა ოკუპირებული ტერიტორიების რეინტეგრაციის და ადამიანის უფლებათა მონიტორინგის პროცესში.

შეხვედრაზე ამერიკულმა მხარემ ხაზი გაუსვა და დადებითად შეაფასა საქართველოს მთავრობის გამჭვირვალობა და გახსნილობა საერთაშორისო საზოგადოების რეინტეგრაციის საკითხებში ჩართულობასთან დაკავშირებით.

აშშ-მა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი ურყევი მხარდაჭერა.

მხარეები, აგრეთვე, შეთანხმდნენ თანამშრომლობის გაღრმავებაზე განათლებისა და მეცნიერების სფეროში. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილებით, საქართველო არჩეულ იქნა იმ 20 ქვეყანას შორის, რომლებიც ჩაერთვებიან მეცნიერების, ტექნოლოგიის, ინოვაციისა და პარტნიორობის პროექტში.

აღნიშნული პროექტი წარმოადგენს უნიკალურ იდეას, რომელიც მიზნად ისახავს მნიშვნელოვანი სამეცნიერო პროექტების განხორციელებას. ქართველი და ამერიკელი მეცნიერების მიერ ჩამოყალიბდება სამუშაო ჯგუფები ისეთ დარგებში, როგორიცაა: ენერგეტიკის სფერო, სოფლის მეურნეობა და სხვა.

სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, აგრეთვე, განიხილეს აშშ-სთან სავიზო რეჟიმის შემდგომი გამარტივების საკითხები და თანამშრომლობის გაღრმავება განათლებისა და კულტურის სფეროებში.

**ინტერპრესი**



# განცდა, რომელიც სიკვდილამდე გამყვება

## ორიოდ სტრიქონი შალვა მატუაშვილის გამო



თუ ჩემში რაღაც მისხალი გემოვნებისა არსებობს, ეს მუსიკასთან ერთად, მხატვრობის ბრალია. ყოველ შემთხვევაში ვცდილობ, სხვა რამ (ამ სხვა რამეზე სხვა დროს) ახლოს არ გავიკარო! ყველაფერი უკულმართი სულის გარყვნილებით იწყება და მაშინ სული ეშმაკისაა და ძვალი და ხორცი – მიწის!

კაცობრიობის გონიერმა ნაწილმა უნდა სცადოს, რომ მომავალს დიდი და ჭეშმარიტი ხელოვნება გადაურჩინოს!

სხვა შემთხვევაში ერთ დიდ, ამღვრეულ ბაბილონს მივიღებთ... და ივლის, იბრუნებს დედამიწა მზის გარეშემო, როგორც მარადი სასაფლაო გენიოსების!

...ერმიტაჟი, ტრეტიაკოვი, პუშკინის მუზეუმი, ლუვრი, ანუ პარიზის ყველა მუზეუმი, უფიცი, ბორგეზე, სიქსტის კაპელა, როდენი, მაიოლი, ბერნინი, ფლორენცია, ლეჟეზეს მუზეუმი (სხვათა შორის, ლეჟე არ მიყვარს, ისევე როგორც სალვადორ დალი) შაგალის ვიტრაჟები იერუსალიმში, კაიროს მუზეუმი... (რაღაც გამომრჩა) სამ-სამჯერ და ზოგ შემთხვევაში მეტჯერაც ნანახი მაქვს და მდიდარი და ბედნიერი ვარ ამით!..

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ მეც მინდა, მსჯელობის უფლება დავიტოვო და გულახდილად ვთქვა ჩემი მოსაზრება, მით უმეტეს, რომ სამწუხაროდ, მხოლოდ სიკვდილის შემდეგ გვიყვარან ჩვენ ნამდვილი და ჭეშმარიტი მუზები!

მთელი ცხოვრება ნახატებს ვაგროვებდი და დღეს ჩემი კოლექციისკენ გახედვაც მიჭირს, რადგან თავს მოღალატედ ვთვლი, ამიტომაც დღეს სახალხოდ მინდა ვაღიარო ის, რასაც ჩემს თავს ვერ ვპატიობ: – იყო პერიოდი, როცა მეც გამიჭირდა, როგორც ბევრს და იძულებული გავხდი, გამეყიდა ის ნახატები, რომლებიც ჩემი ბიოგრაფიის ნაწილს წარმოადგენდნენ. ლადო გუდიაშვილი – წარწერით: „ძვირფას მეგობარს რეზო ამაშუკელს“, ელენე ახვლედიანი: „რეზოს, ელენე“! მე მათ სულებს ბოდიშს ვუხდი და პატიებას ვთხოვ! აქვე სახალხოდ (მე მათ უკვე კარგა ხანია პატიება ვთხოვე) ბოდიშს ვუხდი ჯიბსონ ხუნდაძეს და რუსიკო ფეტვიაშვილს!

მკითხველს ვთხოვ, წუწუნში ნუ ჩამომართმევს ამას, მაგრამ, როცა მეგობრის ნაჩუქარ ნახატს ფულზე გადაცვლი, დამნაშავე ხარ და ეს განცდა მე სიკვდილამდე გამყვება!

ეს ამოდენა შესავალი იმისთვის დამჭირდა, რომ უფრო თამამად მეთქვა ორიოდ სიტყვა ჩემს შალვაზე, რომელიც ჩემი ახლო მეგობარია, და რომელმაც კარგად იცის თავისი ნიჭის ფასი, და ძალიან მიხარია, რომ უფალმა მას დიდი შრომის უნარიც მიანიჭა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ დროდადრო ამოვარდნებსაც), რამაც ის ნაყოფი გამოიღო, რომ დღეს თამამად შეიძლება შალვა მატუაშვილი ჩვენი ერის ძალიან დიდი მხატვრების გვერდით დავაყენოთ!

მიხარია, რომ პარიზში, მხატვრების მექაში, ის მე ჩავიყვანე პირველად (სხვათა შორის მეც, პირველად, პარიზში დიდ მერაბ ბერძენიშვილს ვახლდი, მის გვერდით ვიჯექი „როტონდაში“ და რასაკვირველია, ძალიან ვამაყობ მასთან მეგობრობით).

მე ხელოვნებათმცოდნე არ გახლავართ, მაგრამ იმის უფლებას ვიტოვებ, რომ განვაცხადო:

**ჩემგან ზემოთ ჩამოთვლილი მუზეუმების ნებისმიერ დარბაზს დაამშვენებდა მისი ნამუშევრები!**

უკვე იხურება მისი გამოფენა და ვინც ვერ ნახა ეს მართლაც სულის შემძვრელი ტილოები, ბევრი რამ დაკარგა!

მე მოკლედ ვიტყვი: **– შალვა მატუაშვილი დიდი ფერმწერია!**

**ის ჩემი საყვარელი მხატვარი და ჩემი მეგობარია!**

**...„მთელი ცხოვრება მხატვრების მშურდა!**
**მათ არ იციან შემოდგომა**
**და გაზაფხული,**
**გადმოიღებენ და კედელთან დადებენ ზამთარს,**
**მერე გაზაფხულს,**
**ანდა კიდევ ორივეს ერთად...**
**– და გალობს, გალობს**
**უჩარჩოო ტილოზე ჩიტი,**
**ჯერ გაუმშრალი საღებავის**
**ყვითელი ლაქა...**
**– მთელი ცხოვრება მხატვრების მშურდა!..“**

„ტირისკონი“, საიდანაც ამ ნაწყვეტს გთავაზობთ, ძალიან დიდი ხნის წინათ მაქვს დაწერილი და ახლაც იგივეს ვიმეორებ: – მთელი ცხოვრება მხატვრების მშურდა!

მშურდა იმიტომ, რომ თავდავიწყებით მიყვარს მხატვრობა!

**რეზო ამაშუკელი.**
**2013 წლის ქრისტეშობისთვის 12**

### ხელფასი ჩვენი არსობისა

# ჯიბესქელი მოხელეები გაყინული ეკონომიკის ფონზე

**საზოგადოებისთვის უკვე გამაღიზიანებელია, როცა ხელისუფლების წევრები დღენიადაგ იმაზე ზრუნავენ, საკუთარი ხელფასი როგორ გაიზარდონ. ასე იყო წინა ხელისუფლების პირობებში, ასეა ახლაც. იმ დროს, როდესაც დასაქმების მაჩვენებელი არ იზრდება, ეკონომიკა სტაგნაციაშია, ლარი უფასურდება და ფასები მაღლა იწევს, მძიმეწონიანი მოხელეების გადაწყვეტილება ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია.**

რამდენიმე დღის წინათ ცნობილი გახდა, რომ საქართველოს პრეზიდენტი, თავისი წინამორბედისგან განსხვავებით, გაზრდილ ხელფასს მიიღებს. უმრავლესობის წევრ დავით საგანელიძის საკანონმდებლო ინიციატივის საფუძველზე, გიორგი მარგველაშვილი 4720 ლარის ნაცვლად, ხელფასის სახით ყოველთვიურად 7200 ლარს მიიღებს. პრეზიდენტის ხელფასის ზრდამ საზოგადოების გარკვეულ ნაწილში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მათვის მიუღებელი აღმოჩნდა ახალი პრეზიდენტის გაზრდილი მადა, თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენლები პრეზიდენტისთვის ხელფასის გაზრდას ლოგიკურად მიიჩნევენ.

როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ვიქტორ დოლიძე აცხადებს, ქვეყნის პირველ პირს ექნება შესაბამისი ხელფასი და პრეზიდენტის ფონდიდან თანხები უკონტროლოდ აღარ გაიფლანგება. ამიტომაც იგი მიიჩნევს, რომ ეს ადეკვატური გადაწყვეტილება იყო.

**„ის ახსნა-განმარტება, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით მე მოვისმინე, ჩემთვის აბსოლუტურად მისაღები და ადეკვატურია. გეტყვით რატომაც – სააკაშვილის დროს პრეზიდენტის ფონდიდან მილიონობით ლარი კაცმა არ იცოდა, სად მიდიოდა. იყო ჩანაწერი „სხვა ხარჯები“, რომელიც არავინ იცის, რაში იხარჯებოდა.**

**ის, რომ პრეზიდენტს ექნება მაგალითად, 7200 ლარი და გვეცოდინება, რომ ამის იქით არავითარი გადამეტებული ხარჯი აღარ იქნება, აბსოლუტურად ადეკვატურია. ამავე დროს, მე ვინატრებდი, რომ თითოეულ ჩვენ თანამოქალაქეზეც აისახოს ხელფასის ზრდა. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ამას შევძლებთ“,** – განაცხადა დოლიძემ.

თავად საქართველოს პრეზიდენტი ხელფასის ზრდას სახელმწიფოში არსებული სახელფასო ნუსხით ხსნის. როგორც გიორგი მარგველშვილმა აღნიშნა, პრეზიდენტის ხელფასი იზრდება, რათა იგი იყოს „ადეკვატური იმ სახელფასო ნუსხისა, რომელიც სახელმწიფოში არსებობს“.

სახელფასო ზრდის თემა ამით არ ამოიწურება. უფრო სწორად, მარგველაშვილისთვის ანაზღაურების მომატება მხოლოდ დასაწყისია. საქმე ისაა, რომ 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობაც იზრდება და შრომითი ანაზღაურებაც. გაისად საჯარო სექტორში დასაქმებული იქნება 104 878 ადამიანი, რაც ნაცმოძრაობის მმართველობის ბოლო წელთან შედარებით 1,8%-ით მეტია.

რაც შეეხება შრომითი ანაზღაურებისთვის გამოყოფილ თანხას, 2012 წლის ბიუჯეტთან შედარებით, ზრდა დაახლოებით 25%-ია და 1,318 მლრდ ლარს შეადგენს. აშკარაა, რომ „ოცნების“ ბიუჯეტში მაღალი ხელფასების საკითხი ყველაზე მნიშვნელოვანია.

კიდევ უფრო გაზრდილი მადა აქვთ სახელმწიფო სტრუქტურებთან არსებულ სსიპ-ებში, სადაც არავითარი სახელფასო ნორმა არ არის დაწესებული. აქ ჩვეულებრივ მოხელესაც (მაგალითად, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს, ან რომელიმე დეპარტამენტის უფროსს), შესაძლოა, მინისტრის ტოლ-სწორი ანაზღაურება ჰქონდეს.

რადგანაც საზოგადოებაში ხელისუფლების წევრთა გაზრდილმა მადამ უკმაყოფილება გამოიწვია, ფინანსთა მინისტრმა ამასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ 2014 წელს მენეჯმენტის ხელფასები არ იზრდება. როგორც ნოდარ ხადურმა განმარტა, პირიქით, შარშანდელთან შედარებით, სამინისტროს თანამდებობის პირებს ხელფასები შეუმცირდათ.

**„მენეჯმენტს ხელფასები არ ეზრდება. მინდა გითხრათ, რომ ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირებს ხელფასები, შარშანდელთან შედარებით შეუმცირდათ, ისე როგორც მათი რაოდენობა შემცირდა. მაგალითად, თუ ადრე მინისტრს ჰყავდა 8 მოადგილე, ახლა არის 3. ფინანსთა მინისტრი დღეს იღებს ნაკლებ ხელფასს, ვიდრე იღებდა ადრე. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის ძალიან გამჭვირვალე, ნოდარ ხადური კი იყო პირველი საჯარო მოხელე, რომელმაც თავისი დეკლარაცია ატვირთა პირველივე დღეს“,** – განაცხადა ხადურმა.

მისივე განმარტებით, მომავალ წელს ძირითადად იზრდება სასამართლოს და პროკურორების შრომის ანაზღაურება. **„გარდა ამისა, შეგახსენებთ, რომ ევროკავშირთან ჰარმონიზაციის პროცესში ვალდებულება ავიღეთ რამდენიმე ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეგვექმნა, რომლებიც მუშაობენ, თავის მხრივ, კორპორატივების განვითარებაზე, ხარისხის სრულყოფასა და ა.შ. თავისთავად ცხადია, ამიტომ შემოღებულია მათი შრომითი ანაზღაურება. გარდა ამისა, იქმნება ახალი საბაჟოები. მაგალითად, კარწახში და ლაგოდეხში გაიხსნება ახალი საბაჟო, ლარსში უკვე გაიხსნა. ეს, ბუნებრივია, აჩენს ახალ თანამშრომელთა საჭიროებას“,** – აღნიშნა ხადურმა.

**ეკა ბაქრაძე**

### ალიან-ჩალიანი

## ფოთის პორტში საქონლის განბაჟება გაიაფდება

**3 ათას ლარამდე ღირებულების საქონლის საბაჟო გაფორმებისთვის საფასური 100 ლარიდან 20-ლარამდე მცირდება. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ხატია მოისწრაფიშვილმა განაცხადა, იმპორტიორთა თანაბარ პირობებში ჩაყენების, ასევე მათთვის შეღავათიანი მომსახურების საფასურის დაწესების მიზნით, საბაჟო-გამშვებ პუნქტში „ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“ გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით გაცხადებულ 3 000 ლარამდე ღირებულების საქონლის საბაჟო გაფორმების საფასური მცირდება და, ნაცვლად 100 ლარისა, იმპორტიორი გადაიხდის 20 ლარს.**

**მისი თქმით, ცვლილებების მიზანია საბაჟო გამშვები პუნქტის, „ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის„ გავლით საქართველოში შემომსვლელ ფიზიკურ პირთა სულ უფრო მზარდი ნაკადის წახალისება, მათთვის შეღავათიანი, ასევე კომფორტული და გამარტივებული მომსახურების შეთავაზებაა.**

**როგორც ხატია მოისწრაფიშვილმა აღნიშნა, ამ საკითხს წარადგენს მთავრობის სხდომაზე ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, ხოლო შეღავათები ძალაში შევა დამტკიცებისთანავე. აღსანიშნავია, რომ საბაჟო გაფორმებისათვის შეღავათიანი ტარიფით 2011 წლის 28 მაისიდან უკვე სარგებლობს ბათუმის პორტი.**

**ინტერპრესი**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №213

# „უჩინარ მთარგმნელთა“ შესახებ

*„ჩემს ცხოვრებისეულ პრინციპს განასახიერებს დევიზი, რომელიც „შევარდენელთა“ მისალმებას წარმოადგენდა: „ვგუშაგობ ერს მარად“. რაც შეეხება კრედოს, ის გამოხატულია ინდოელი, რუსი, ევროპელი და ამერიკელი მოაზროვნეების (ანთროპოლოგების, ფიზიკოსების, თეოლოგების, მწერლების) იმ წერილებში, რომლებსაც მე ვთარგმნიდი და ვაქვეყნებდი ჩვენს ლიტერატურულ და მეცნიერულ პერიოდიკაში, 45 წლის მანძილზე და რომლის ერთ წიგნად გამოცემა ვერ მოხერხდა. ეს წერილები მეოცე საუკუნის მსოფლიოს საჭირბოროტო საკითხებს ეხება“. – წერდა ჩვენი დროების ერთ-ერთი ყველაზე ელვარე ფიგურა, პოეტი, მთარგმნელი, ესეისტი, მკვლევარი ᲗᲐᲛᲐᲖ ᲩᲮᲔᲜᲙᲔᲚᲘ.*

*მწერლის ამ ოცნების აღსრულება სამწუხაროდ, მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ მოხერხდა. ქართველი მკითხველი გაეცნობა ულიამ ჯეიმსის, ვიქტორ კომაროვის, ალბერტ აინშტაინის, ხორხე ლუის ბორხერის, დორენ აისლის, აბრაჰამ ჰეშელის, ერვინ შროინგერის, კარლ იასპერსის, ნიკიტა მოისეევის, მაქს ვებერის, ოსიპ მანდელშტამის, ალექსეი ლოსევის და სხვათა უაღრესად საინტერესო და დღევანდელი დღისთვის აქტუალურ წერილებს.*

***ბატონ თამაზს თავის მთარგმნელობით მოღვაწეობასთან დაკავშირებით კურიოზებიც გადახდენია. ერთ-ერთ ძალიან საგულისხმო ამბავს თავის მოგონებაშიც გვთავაზობს:***

ქუჩაში შემხვდა როსტომ ჩხეიძე. წიგნები ეჭირა ხელში. წიგნები დავათვალიერე და ბროშურაზე ვკითხე – ეგ რაღაა-მეთქი. ეს ბოურას, ინგლისელი მეცნიერის, გამოკვლევა არის ქართულად თარგმნილიო. ოჰ, ეგ მე და ნოდარ ებრალიძემ ვთარგმნეთ, ნახე, ეწერება-მეთქი. როსტომმა ნახა და არაფერიც არ წერიაო, საერთოდ არ წერია, ვინ თარგმნაო. წიგნაკს მეც ჩავხედე, მთარგმნელი არ ეწერა, მხოლოდ ის იყო აღნიშნული, რომ ქართული ტექსტი ინგლისურთან იყო შედარებული ალ. გამყრელიძის მიერ და რომ ის იყო რედაქტორი ამ წიგნისა. უცნაური ამბავი იყო: ინგლისელი მეცნიერის მორის ბოურას „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი გამოქვეყნდა და მთარგმნელი არ ჩანდა. თარგმანი თქვენი რომ არის, დაწერე აუცილებლადო, – მირჩია როსტომმა, ასეთი რამე გაუმჟღავნებელი არ უნდა დარჩესო. არა ღირს-მეთქი, გაისად ჩემ მიერ თარგმნილი წერილების წიგნი უნდა გამოვიდეს ამ თარგმანიანად და იქ გაირკვევა-მეთქი ყველაფერი, მაგრამ ეს წიგნი არამცთუ მაშინ არ დაიბეჭდა, დღემდე გამოუცემელია. წერილი, და ისიც საგაზეთო წერილი, სულ სხვა არისო, ერთხელ კიდევ წამაქეზა ამ საქმეზე როსტომმა, მაგრამ არ დავუჯერე და ძალიანაც შევცდი! ჩემმა ამ „მცდარობამ“ სხვაც შეაცდინა...



ბოურას ამ ტექსტით დაინტერესებულმა მეცნიერმა თუ ლიტერატორმა პირველივე წაკითხვისთანავე იცის, რომ ტექსტი შედარებულია ინგლისურთან ამა და ამ პიროვნების მიერ, რომ ეს ტექსტი ამავე პიროვნების მიერ არის რედაქტირებული და რომ ამ ტექსტს ამავე პიროვნების მცირე ბოლოსიტყვა ახლავს. ეს ყველაფერი ახსოვს, მაგრამ დავიწყებული აქვს ის უცნაურობა, რომ წიგნს მთარგმნელი არ ჰყავდა და დროთა განმავლობაში მის ცნობიერებაში სავსებით ბუნებრივად, თარგმანის რედაქტორისა და ბოლოსიტყვის დამწერის სახელი მთარგმნელს უიგივდება, რადგან **ხომ შეუძლებელია თარგმნილ ტექსტს მთარგმნელი არ ჰყავდეს!** და აი, 2002 წელს სანიმუშო აკრიბიით გამორჩეულ ბრწყინვალე გამოკვლევაში, რომელიც რუსთაველსაც ეხება, ციტირებული ტექსტის სქოლიოში ვკითხულობთ: „ბოურას გამოკვლევის ქართულ ენაზე მთარგმნელი ალ. გამყრელიძე თარგმანზე დართული ბოლოსიტყვაში“... და ა.შ. ვისი ბრალია ასეთი „ორგანული შეცდომა“? ნაწილობრივ, უთუოდ, ჩემი, რადგან არ დავუჯერე მეგობრულ რჩევას და დროზე არ გავამჟღავნე სათქმელი, მაგრამ უპირატესად და უპირველეს ყოვლისა, ამ შეცდომის საფუძველია ის მანკიერი პრაქტიკა, რაც დანერგილი იყო ჩვენს მხატვრულ ჟურნალებში, სა-

სად გადმოუტანიათ-მეთქი (მანამდე ჩემი სახლის გვერდით პაოლო იაშვილის ქუჩაზე იყო), მოდი, შევიდეთ-მეთქი. არ შემომყვა, მარტო ავედი, დირექტორის ვრცელ კაბინეტში ორი კაცი იჯდა, ახალგაზრდა და ოთხმოცს გადაცილებული ბერიკაცი. დირექტორი თქვენ ბრძანდებით-მეთქი, – ახალგაზრდას მივმართე. დიახ, რა გნებავთო. თქვენმა „საზოგადოებამ“ გამოსცა მშვენიერი წიგნი ბოურას „ვეფხისტყაოსანი“ და მაინტერესებს, ვინ თარგმნა-მეთქი. ახლავეო. წიგნი მონახა, გადაფურცლა და... არ წერია, ვინ თარგმნაო. კი, მაგრამ ვიღაცას ხომ უნდა ეთარგმნა? თქვენ თუ იცით, ვინ თარგმნა, – მეკითხება. მე ვთარგმნე-მეთქი. ვინ ბრძანდებითო. ვუთხარი ჩემი სახელი და გვარი და ამ დროს, იქ მჯდარი ბერიკაცი ერევა საუბარში; სხვათა შორის, მე ვიცი თქვენი გვარსახელის სხვა კაცი, თარგმნილი აქვს „ბჰაგავატგიტა“, „გიტანჯალი“, უიტმენის ლექსები... რიგით ამნაირმა ჩამოთვლამ გამაოცა და, ცხადია, გამახარა. ჩემი თარგმანებია-მეთქი, რომ ვუთხარი, ბერიკაცი ადგა და შუბლზე მაკოცა და ჩვენ ერთმანეთს თბილი სიტყვები ვუთხარით. დირექტორი შეცბუნებული ჩანდა, რაც ამ სიტყვებით გამოხატა: რამე პრეტენზია გაქვთ ჩემთან? ერთადერთი-მეთქი, შემდეგ გამოცემაში აუცილებლად დააწერეთ მთარგმნელების გვარები, ჩაიწერეთ, თუ შეიძლება. ჩაიწერა და შემომაჩერდა, სხვა? არაფერი სხვა, ეს მინდოდა გცოდნოდათ, ორივეს გამოვემშვიდობე და წამოვედი, მაგრამ კარებთან შემაჩერა დირექტორმა, ასე ვერ გაგიშვებთო და რაღაც ქაღალდზე ხელისმოწერის შემდეგ, იქვე ხუთასი მანეთი მომცა... ასე რომ, ამ თარგმანში ფული მაქვს აღებული, რაც

დაც არსად და არანაირად არ იყო აღნიშნული მთარგმნელის ვინაობა.

ამ ნაშრომის თარგმნა „მნათობის“ მაშინდელმა რედაქტორმა სიმონ ჩიქოვანმა დამავალა. სერგეი სერებრიაკოვის მიერ რუსულად ჩინებულად თარგმნილი ტექსტი დიდი მეჩვენა და სათარგმნელად **ნოდარ ებრალიძე** შევიამხანაგე. ნახევარ-ნახევარი ვთარგმნეთ ისევე, როგორც მანამდე „მნათობშივე“ დაბეჭდილი ბორჯომის სიმპოზიუმის მასალები, რისი თარგმნაც აგრეთვე სიმონ ჩიქოვანის დავალებით შევასრულეთ. ჩვენს მიერ თარგმნილი ბოურას „ვეფხისტყაოსანი“ დაიბეჭდა 1959 წლის „მნათობის“ მერვე ნომერში. მომდევნო წელს სიმონ ჩიქოვანი გაათავისუფლეს რედაქტორის თანამდებობიდან და გაუგებრობა სწორედ აქედან წარმოიშვა.

ამ ნაშრომმა რუსთველოლოგების და, საერთოდ, ლიტერატურათმცოდნეების ცხოველი ინტერესი გამოიწვია და როგორც ჩანს, მისი ცალკე წიგნად გამოცემის საკითხი მომწიფდა, მაგრამ ვინაიდან უავტორო ტექსტი სანდო ვერ იქნებოდა, მისი „გაპატიოსნება“, ე.ი. ინგლისურ დედანთან შედარება და რედაქტირება ალ. გამყრელიძეს დაევალა, ან თვითონ მან იკისრა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ალ. გამყრელიძე, როგორც კეთილსინდისიერი მეცნიერი და მაღალზნეობრივი ინტელიგენტი, უთუოდ ეცდებოდა მთარგმნელის ვინაობის დადგენას, მაგრამ ამას ვერ შეძლებდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ახალ რედაქტორს ეს არ ეცოდინებოდა, ხოლო სიმონ ჩიქოვანი 1966 წელს გარდაიცვალა. ასე და ამრიგად, „მნათობში“ ბოურას თარგმანის პირველი პუბლიკაციის . წლის შემდეგ 1966 წელს, „ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების“ გრიფით გამოქვეყნდა ეს წიგნაკი. ეს ჩვენეული თარგმანი მთარგმნელთა უხსენებლად ერთხელ კიდევ დაიბეჭდა რომელიღაც სამეცნიერო ჟურნალში და სარგის ცაიშვილს ვუსაყვედურე: ხომ იცოდი, ჩვენ რომ ვთარგმნეთ, რატომ არ თქვი-მეთქი – იმასაც აღარ ახსოვდა ეს ამბავი.

გავიდა ხანი და როგორც ფილიპე ბერიძე აშაყირებდა მეცნიერებაზე თავდადებული და დიდ თანამდებობაზე მყოფი მაშინ ცნობილი პიროვნების ერთ ფრაზას – ამ საქმესაც „დავიწყების ლივრეა გადაეფარა“. მაგრამ ერთხელ, მე და ნოდარ ებრალიძემ ვერის ბაღს რომ ჩავუარეთ, უცებ თვალში მოგვხვდა წარწერა „ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება“. ხედავ,




ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ ეს ჩვენი თარგმნილია.

მაგრამ მთარგმნელთა ანონიმურობაში ჩაძირვის პრაქტიკა, რომელიც მხატვრულ ჟურნალებში ასე იყო გავრცელებული, აბსურდულ სიტუაციებთან ერთად გარკვეულ უხერხულობებსაც ქმნიდა. აქ უადგილო არ იქნება, თუ ერთ შემთხვევასაც გავიხსენებ ანალოგიურ თარგმანზე, რომელიც მე და ნოდარ ებრალიძემ შევასრულეთ.

1979 წლის „საბჭოთა ხელოვნების“ მეშვიდე ნომერში დაიბეჭდა სერგო ქობულაძის ბრწყინვალე ნაშრომი „ანტიკური და შუა საუკუნეების ძეგლთა კომპოზიციური აგების შესახებ“, ამ შრომის თარგმნა მე მანდო სერგო ქობულაძემ. ტექსტი იყო ძნელი და ნოდარ ებრალიძემ და მე დიდი დრო შევალიეთ ამ ტექსტის თარგმნას. ეს ნაშრომი თამაზ ჭილაძის რედაქტორობისას დაიბეჭდა. სამწუხაროდ, სერგო ქობულაძის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, მხატვრის **ვლადიმერ კანდელაკის** სპონსორობით ეს ნაშრომი 1998 წელს მასში ჩართული და მის გარეშე დარჩენილი ნახაზი ცხრილებით, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაიბეჭდა სათაურით **„ოქროს კვეთა“.** სერგო ქობულაძის ეს ნაშრომი წიგნში დაბეჭდილია სამ ენაზე: ქართულად, რუსულად და ინგლისურად. წიგნის რედაქტორმა საჭიროდ არ ცნო ქართულ და ინგლისურ თარგმანებზე მიწერილიყო მთარგმნელთა გვარები და სწორედაც მოიქცა, უხერხული იქნებოდა ქართველი მხატვრის ამ მნიშვნელოვან გამოკვლევას რუსულიდან თარგმნილი ტექსტი წამძღვარებოდა, მაგრამ წიგნის ბოლო გვერდზე წვრილშრიფტიან რუბრიკაში – „წიგნზე მუშაობდნენ“ – რედაქტორის ქ. მელიქიძის გვარს მოსდევს ამ ტექსტის ინგლისურად მთარგმნელის გვარი – ი. წივწივაძე, ქართულად მთარგმნელთა გვარები, აღნიშნული მიზეზის გამო, ამ წიგნშიც გაუჩინარებულია.

მე დავესწარი ამ წიგნის პრეზენტაციას, საღამო რომ დამთავრდა, ნაცნობ მხატვრებთან დავიჩივლე: ეს ნაშრომი მე და ნოდარ ებრალიძემ ვთარგმნეთ და ერთი წიგნი მაინც გვარგუნეთ-მეთქი. მაჩუქეს ერთი წიგნი.

**2003 წელი, სექტემბერი**

## ანონსი

**ᲓᲔᲕᲘᲖᲘᲗ „ქვეყანას ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ გუშინ, 13 დეკემბერს, „კინოს სახლში“ (ძმები კაკაბაძეების ქ. №2) გაიხსნა მართლმადიდებლური ფილმების VIII საერთაშორისო ფესტივალი „ᲬᲛᲘᲓᲐ ᲐᲜᲓᲠᲘᲐᲡ ჯᲕᲐᲠᲘ“.**

**დედაღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღეს 4 დეკემბერს, სვეტიცხოველში, ფესტივალი და მისი დამფუძნებელი სტუდია „მეოხი“ ტრადიციისამებრ დალოცა სრულიად საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.**

**ანალოგიური მიმართულების ფესტივალები მსოფლიოს სხვადასხვა მართლმადიდებლურ ცენტრებში მრავალი წელია არსებობს, მოსკოვში, კიევში, ათენში...**

**მართლმადიდებლური ფილმების ფესტივალი რუსეთში უკვე 28 წელიწადს ითვლის და უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. მატერიალური სიძნელეები, მოულოდნელი სირთულეები სტუდია „მეოხის“ ენთუზიაზმს ვერ ჩრდილავს, რადგან როგორც მისი მესვეურნი განმარტავენ: „ეს ფესტივალი საქართველოში აუცილებლად უნდა არსებობდეს“.**

**წელს ჟიურის წევრები არიან: კინომცოდნე ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲙᲔᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲔ (თავმჯდომარე), არქიმანდრიტი ᲔᲚᲘᲡᲔ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ, კინორეჟისორი ᲔᲚᲓᲐᲠ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲐᲘᲐ, კინორეჟისორი ᲝᲗᲐᲠ ᲚᲘᲗᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, პოლონელი კინორეჟისორი ᲘᲔᲟᲘ ᲚᲣᲒᲐᲮᲘ, კინორეჟისორი ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲝᲓᲝᲜᲐᲫᲔ, ტელერეჟისორი ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

**ფესტივალზე „ანდრიას ჯვარი“, რომელიც ხუთი დღის მანძილზე გასტანს და 17 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, დაიხურება, ბევრ საინტერესო ქართულ თუ უცხოურ კინო და ტელეპროდუქციას გაგვაცნობს.**

**17 დეკემბერს, უკრაინული ფილმის ჩვენების დასასრულს, შედგება ფესტივალში გამარჯვებულთა დაჯილდოება.**

**წარმატებები ჰქონოდეთ ფესტივალის მესვეურთ და მონაწილეთ. მაყურებელს კი ვუსურვებთ არაერთი მნიშვნელოვანი არტეფაქტის მოწმენი გახდარიყვნენ.**

**ფესტივალის მსვლელობის ამბებსა და შედეგებს ჩვენი გაზეთი მოგვიანებით, უფრო ვრცლად შემოგთავაზებთ.**



№242. შაბათი, 14 დეკემბერი, 2013 წელი.

საოჯახო ალბომი

# „დამიძახე, ლევან“...

**ფრაგმენტი გერმანული მკვლევრის დაფნე შრინჭარნის წერილიდან „გერმანელები საქართველოში“ (თარგმნა მაია სიმონიშვილმა).**

**მარია ჰოფმანი** 1894 წელს დაიბადა ბიბერახში, კაპიტალისტების ოჯახში. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ცოლად გაჰყვა ელექტროინჟინერ კარლ ვიხმანს და კილში დასახლდა. 1924 წელს, სამსახურის გამო, კარლ ვიხმანი დრეზდენში გადავიდა. გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ, მას ოჯახის წაყვანაც სურდა, მაგრამ ვერ მოახერხა. 1925 წელს, ქმრის არყოფნის პერიოდში, ფინანსური პრობლემებიდან გამომდინარე, მარია იძულებული გახდა თავისი ბინის ორი ოთახი გაექირავებინა. ოთახები იქირავა **ლევან ლეონიძემ** (დაბ. 1893 წელს), რომელიც ასევე დაქორწინებული იყო. იგი საქართველოს განათლების კომისარიატმა გაგზავნა კილში, სადაც ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტში, **დოქტორ ჰენებერგის** ხელმძღვანელობით, რძისა და რძის პროდუქტების მიკრობიოლოგიის საკითხებს იკვლევდა. მარიასა და ლევანის მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა და ისინი მეუღლეებთან განქორწინების შემდეგ შეუღლდნენ.

მარია ჯერ ლენინგრადში, იქიდან კი თბილისში წამოჰყვა ქმარს. მათ ორი შვილი შეეძინათ: **ლილი** (1929) და **ლევანი** (1934). 1929 წელს ლევან ლეონიძე სახელმწიფო ვეტერინარული ინსტიტუტის დირექტორი ხდება; 1932 წელს კი – ზოოლოგიურ-ვეტერინარული ინსტიტუტის (რომლის ერთ-ერთი დამაარსებელიც იყო) დეკანი. **1936 წლის ბოლოს იგი დააპატიმრეს; მას კაპიტალისტებთან მეგობრობისა და კაპიტალისტის ქალიშვილის ცოლად შერთვის გამო, მოღალატეობასა და ხალხის მტრობაში დასდეს ბრალი.**

მარიას მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში ჰქონდა ქმართან მიმოწერის უფლება, რის შემდეგაც მათ შორის ყოველგვარი კონტაქტი შეწყდა. ოჯახს დღემდე არ მიუღია ლევან ლეონიძის დაღუპვის ცნობა. 1941 წელს, მარია, შვილებითურთ, გადაასახლეს ყაზახეთში. საქართველოში ლევანის ძმის, გიორგი ლეონიძის დახმარებით დაბრუნდა. იმის გამო, რომ თბილისში ცხოვრება აუკრძალეს, კახეთის სოფელ პატარძეულში, ქმრის მშობლიურ სახლში გადავიდა. მარია, წლების განმავლობაში შიშის ქვეშ ცხოვრობდა – სოფლის მცხოვრებლები მას გერმანელ ფაშისტად აღიქვამდნენ და შესაბამისადაც ეპყრობოდნენ. **50-იან წლებში მარიას დასავლეთ გერმანიაში გამგზავრების უფლება მისცეს, რაზეც უარი განაცხადა;** იგი დარწმუნებული იყო, რომ ქმარი დაბრუნდებოდა და საქართველოში დარჩა. მარიამ თავისი ცხოვრების ისტორია დაწერა შვილებისთვის და დევნით შეშინებულმა, დაწვა ადრინდელი წერილები და დღიურები. იგი 1961 წელს, თბილისში, ისე გარდაიცვალა, რომ ქმრის შესახებ არაფერი იცოდა.

ლილისთივს გერმანული ენა იყო მშობლიური – ამ ენაზე აღიზარდა. რაც შეეხება მოგვიანებით დაბადებულ ვაჟიშვილს, დედამ მისი უსიამოვნებებისგან დაცვა გადაწყვიტა – 40-იანი წლების საქართველოში გერმანელები დევნას განიცდიდნენ. **ლილი უნაფქოშვილმა** (ამ გვარზე მოგვიანებით გადავიდა) გერმანული ენის ფაკულტეტი დაამთავრა და უცხო ენების ინსტიტუტში მუშაობდა.

**ლილის ქალიშვილი, მაია 1958 წელს დაიბადა. მაიასთვისაც გერმანული იყო მშობლიური ენა.** მან, დედის სურვილისამებრ, აღმოსავლეთ ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტი დაამთავრა და მოსკოვის ლინგვისტიკის ინსტიტუტში დაიცვა დისერტაცია. მას შემდეგ, მაია უნაფქოშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გოეთეს ინსტიტუტში მუშაობს. მისმა ძმამ, **მამუკამ, 1993 წელს იქორწინა გერმანელზე, იგი პროფესიით ფსიქიატრი იყო და კიოლნთან, ციულპიხში მუშაობდა. მამუკა უნაფქოშვილი ავტოკატასტროფაში დაიღუპა.**

„კვირაძალის საკითხავი“ გთავაზობთ **მარია ჰოფმანის** და **ლევან ლეონიძის** შვილიშვილის **მაია უნაფქოშვილის** საოჯახო რელიკვიებს – წინაპართა ფოტოებს და ხელნაწერებს, ქალბატონი მაიას მცირე კომენტარით:

* * *

**მაია უნაფქოშვილი:** სამი წლის ვიყავი, ბებია რომ გარდამეცვალა. მე ის არ მახსოვს, მაგრამ ჩემს გარშემო არსებობდა მისგან დატოვებული გერმანული სამყარო და ეს სამყარო მუდამ დომინირებდა. დედაც გერმანისტი მყავდა. ბებიას – მარია ჰოფმანის გერმანულენოვან დღიურებს მე და დედა გამუდმებით ვკითხულობდით...

სტუდენტი ვიყავი, პირველად ეს ხელნაწერები რომ ვნახე... და უცბად გადაიშალა ჩემს თვალწინ აბსოლუტურად განსხვავებული, რომანტიული, თავბრუდამხვევი სამყარო... ეს გახლდათ ნამდვილი სიყვარულის საოცარი ისტორია, მოგვიანებით ბებიას დღიურები და წერილები ვთარგმნე და გამოვეცი. ლიტერატორმა **ნინო ჩხიკვიშვილმა** საინტერესო წიგნი დაწერა ამ მასალის მიხედვით.

ბებიას და ბაბუას დატოვებული ხელნაწერები, მათი ფოტოები ჩვენი ოჯახის ყველაზე ძვირფასი რელიკვიებია...

რაც წამიკითხავს და რაც დედისგან მსმენია, ბებია ამბობდა: მე ლევანის ძმები – გიორგი და სიკო ლეონიძეები ისე მიყვარს, როგორც საკუთარი ძმები.

მართლაც, ისინი ძალიან ზრუნავდნენ მასზე, მარტოდ დარჩენილ ქალზე, საკუთარი ძმების მეუღლესა და ძმისშვილებზე... არსებობს წერილები ამ ურთიერთობების საილუსტრაციოდ.

ჩვენ ნათესავები გვყავს გერმანიაში, თავად მოგვძებნეს, ბებიას ძმების შთამომავლები... დღემდე ვურთიერთობთ. როცა გერმანიაში ჩავდივარ, მათ ყოველთვის ვნახულობთ ხოლმე... ისინი დიდი მოკრძალებით და სითბოთი ინახავენ ბებიის და საერთოდ, ჩვენი წინაპრების ხსოვნას... ასე რომ, არაფერი არ დაკარგულა...

* * *

ფრაგმენტები **მარია ჰოფმანის დღიურიდან** (ერთი ცნობილი გერმანელი მეცნიერის რეკომენდაციით ახალგაზრდა მკვლევარმა ლევან ლეონიძემ მათ ბინაში ოთახი იქირავა, მაშინ მარია ჰოფმანი, მრავალ მიზეზთა გამო, სრულიად მარტოსულად გრძნობდა თავს).

* * *

*მამაჩემი შორსაა, ჩემი შვილები პატარები არიან, ჩემი არ ესმით... ჩემი ქმარი სხვა ქალაქშია და ალბათ არც ვახსენდები. ხანდახან გავბრაზდებოდი ჩემს ქმარზე, ავღელდებოდი და ვტიროდი. მეორე წუთში კი, მისი არსებობა სრულიად სულერთი ხდებოდა... მაგრამ ჩემს გვერდით იყო* ***ბატონი ლეონიძე****, რომელიც ასე დაჟინებით მთხოვდა გამემხილა მისთვის ჩემი სევდის მიზეზი. მეც მეტს ვეღარ გავუძელი და დავიწყე ჩემი ამბების თხრობა...*

*ამ საღამოს მითხრა მან პირველად ის, რასაც დიდი ხანია ვგრძნობდი და ვიცოდი კიდეც მისი წერილებიდან. მითხრა, რომ ამქვეყნად ყველაზე მეტად ვუყვარვარ, უნდა, რომ მისი ცოლი გავხდე, თან წამიყვანოს თბილისში. გამომიტყდა, რომ თავის ქვეყანაში ცოლი ჰყავს, რომელიც არ უყვარს, მას გასცილდება და ჩემს შვილებთან ერთად, აუცილებლად თან წამიყვანს. გაოგნებული ვიყავი, ეს შეუძლებლად მიმაჩნდა. აბა, როგორ უნდა დამეტოვებინა ჩემი სამშობლო, როგორ უნდა წავყოლოდი ჩემთვის სრულიად უცხო მხარეში, ამ უცხო მამაკაცს?..*

*ათასი შემთხვევითობა მოხდა საიმისოდ, ერთმანეთი რომ გვეპოვნა. ერთი ან ორი თვის დაგვიანებით რომ ჩამოსულიყო კილში, რა თქმა უნდა, ვეღარ შემხვდებოდა, რადგან უკვე დრეზდენში ვიქნებოდი. ვერც მაშინ მიპოვნიდა, ერთი-ორი თვით ადრე რომ ჩამოსულიყო, რადგან მაშინ სულ არ მიფიქრია ოთახის გაქირავებაზე.*

*ალბათ ისიც ჩემი ბედი იყო, ჩემი მეუღლე კარლი რომ ასეთი მექალთანე აღმოჩნდა. ამიტომ ავიცრუე მასზე გული, ამიტომ გახდა ჩემთვის ის სულერთი. კარლი ასეთი ორგული რომ არ ყოფილიყო, მაშინ სხვა კაცი ვერ მოახერხებდა ჩემი გულის დაპყრობას...*

*და საერთოდ, რატომ უნდა ჩამოსულიყო ლევანი გერმანიაში? აქ, თბილისში იმდენი ნიჭიერი ადამიანია, რომელიც არასდროს ყოფილა საზღვარგარეთ, როგორ შეიძლებოდა ამდენი რამ დამთხვეოდა ერთმანეთს?*

*დარწმუნებული ვარ, ჩვენი ერთად ყოფნა განგების მიერ წინასწარ იყო განსაზღვრული...*

* * *

კარლი რომ აღარ მომეშვა, „იმ კაცის“ ვინაობა გავუმხილე, ვუთხარი, რომ ის ლევან ლეონიძე იყო.

ამაზე სულ გაგიჟდა, მითხრა, რომ თბილისი ქვეყნიერების დასალიერშია, რომ საქართველო უკულტურო ქვეყანაა, რომ კაცებს იქ ორი და სამი ცოლი ჰყავთ, ისევე, როგორც ყველა აზიატს. მითხრა, რომ უბედურება არ ამცდებოდა, თუ ლევანს გავყვებოდი ცოლად. მერე მთხოვა, თუ ჩემთან ცხოვრება აღარ შეგიძლია, მამაშენთან წადი და იქ იცხოვრე, ოღონდაც ამ საშინელ რუსს ნუ გაყვებიო.

დამემუქრა, შვილებს თვალით არ დაგანახებო!..

* * *

**(ჩანაწერები გაკეთებულია პატარძეულში მრავალი წლის შემდეგ):**

* * *

აი, უკვე ისევ ახალი წელი მოვიდა – 1950. ნეტავ, რას მომიტანს ეს ახალი წელი? ახალ იმედგაცრუებას თუ ლევან, შენი ნახვის ბედნიერებას? რა უაზროდ დავკარგეთ ამდენი წელი... ადამიანი თურმე ყველაფერს ეგუება. უბედურებასაც კი... გესმის რას ვგულისხმობ? ხომ ამბობენ, ბევრ უბედურებას ბევრი სიხარული მოჰყვებაო. ნუთუ არ არის საკმარისი ამდენი დარდი?

როგორ ხდება, რომ ადამიანი სხვათა ცოხვრებიდანაც ქრება, თითქოს აღარც არსებობსო.

22 წელია შენი ცოლი ვარ და აქედან მხოლოდ 6 წელი ვიყავით ერთად. მაგრამ ლევან, ამ ექვს წელიწადში იმხელა ბედნიერება მაჩუქე, რომლის მსგავსი სხვა ქალებს მთელი ცხოვრების განმავლობაში არა აქვთ. მეშინია, წლები გადის და ვბერდებით, როდის დაბრუნდები? გელოდები, გელოდები, ძალიან მენატრები, ეს მონატრება არასდროს არ ყუჩდება, მუდმივად გეძახი, გელოდები და მჯერა, დაბრუნდები, ხომ იცი და გრძნობ, როგორ მენატრები.

დამიძახე, ლევან, დამიძახე, ისე, როგორც ადრე: „მარია, ჩემო მარია!“

* * *

**ამ სტრიქონების წერისას ლევან ლეონიძე უკვე დახვრეტილი იყო.**



მარია ჰოფმანი



მარია ჰოფმანი და ლევან ლეონიძე



მარია ჰოფმანის ოჯახი გერმანიაში, საშობაო დღესასწაულზე

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს პარლამენტმა უკრაინის ხალხს მხარდაჭერა გამოუცხადა

## თბილისში აქცია „ევროპის გაერთიანებული მაიდნები“ გაიმართა

**საქართველოს პარლამენტმა მიიღო განცხადება, რომელშიც „სრული სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს, რომელიც არჩევანის თავისუფლებისთვის იბრძვის“. განცხადებაში ასევე ხაზგასმულია, რომ არც ერთ ქვეყანას, მათ შორის რუსეთსაც, „არ აქვს უფლება ჩაერიოს“ უკრაინის ევროინტეგრაციის პროცესში.**

**„საქართველოს პარლამენტი გამოხატავს ღრმა შეშფოთებას უკანასკნელ ხანებში განვითარებულ მოვლენებთან და მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით... საქართველოს პარლამენტი მხარს უჭერს უკრაინელი ხალხის ნებას, გახდეს ევროპული და ევროატლანტიკური ოჯახის სრულუფლებიანი წევრი, და სწამს, რომ, მიუხედავად არსებული პრობლემებისა, საქართველოც და უკრაინაც დაიკავებენ ღირსეულ ადგილს საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის სივრცეში“,** — ნათქვამია 11 დეკემბერს მიღებულ განცხადებაში.

**„ევროპული ინტეგრაციის პროცესში ამ ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ არჩევანის ხელშეუხებელი თავისუფლება, და რუსეთს ან ნებისმიერ სხვა ქვეყანას არ აქვს უფლება ჩაერიოს ამ პროცესში... ჩვენ გვწამს, რომ უკრაინის პოლიტიკური ლიდერები გამოძებნიან ღირსეულ მშვიდობიან და ხალხისთვის სასარგებლო გამოსავალს შექმნილი სიტუაციიდან“,** — აცხადებენ საქართველოს პარლამენტში.

შეგახსენებთ, რომ ოფიციალური კიევის გადაწყვეტილება — შეაჩეროს ვილნიუსში 28-29 ნოემბერს ასოციაციის შესახებ შეთანხმების ხელმოწერისთვის მზადება — გახდა უკრაინაში მასობრივი პროტესტების მიზეზი.

### საპარლამენტო უმცირესობის რეაქცია

**ოპოზიციური დეპუტატები საქართველოს ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ უკვე ორი კვირაა მოუწოდებდნენ საქართველოს პარლამენტს, მოახდინოს რეაგირება უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე და დაგმოს რუსეთის მოქმედებები. ამ დროს, მმართველი კოალიცია ადრე ამტკიცებდა, რომ ვერ ხედავს იმის აუცილებლობას, რომ გააკეთოს „ექსტრემალური განცხადებები“, როგორც ამას ოპოზიცია მოითხოვდა.**

საქართველოს ხელმძღვანელობა აცხადებდა, რომ კიევმა მიიღო „თავისი სუვერენული გადაწყვეტილება“, და საქართველოს არ აქვს უფლება, ჩაერიოს სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში. შედეგად, ოპოზიციის განცხადება, რომელიც შეეხებოდა უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს, ვერ გავიდა პარლამენტში. კერძოდ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ საქართველოს პარლამენტი „გამოთქვამს შეშფოთებას პოლიტიკური და ეკონომიკური ზეგავლენისა და შანტაჟის გამო, რასაც რუსეთის ფედერაცია ახორციელებს უკრაინის ხელისუფლებასთან დაკავშირებით იმ მიზნით, რომ უკრაინამ უარი თქვას, ხელი მოაწეროს შეთანხმებას ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ. იქვე ნათქვამი იყო, რომ „ნებისმიერი ძალისხმევა, რომელიც მიზნად ისახავს უკრაინის ევროინტეგრაციისთვის დაბრკოლების შექმნას, მიმართულია თავისუფლების წინააღმდეგ“.

27 ნოემბერს დეპუტატებმა მმართველი კოალიციიდან მხარი არ დაუჭირეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებას, აღნიშნეს, რომ მისი ტექსტი იყო „პრაგმატული“ და „დიპლომატიური“.

მიუხედავად ამისა, კიევში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, პარლამენტის უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილება გამოვიდეს განცხადებით. მაგრამ, მმართველი კოალიციის პოზიციის თანხმად, მასში უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული ოპოზიციის მიერ შემოთავაზებული ტექსტის განსხვავებული ვარიანტი. ამ განცხადების მიღების კენჭისყრაში დეპუტატები სააკაშვილის პარტიიდან მონაწილეობას არ ღებულობდნენ, ვინაიდან დებატების დროს უკრაინასთან დაკავშირებით, პარლამენტარებს შორის მმართველი კოალიციიდან და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ მოხდა ჩხუბი, და ყველა დეპუტატმა ოპოზიციიდან დატოვა პარლამენტის შენობა. მოგვიანებით დეპუტატებმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ თავის კომენტარებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის პარლამენტის მიერ მიღებულ განცხადებასთან დაკავშირებით უკრაინის შესახებ, დაგმეს პარლამენტის უმრავლესობა იმ სურვილის უქონლობის გამო, რომ მასში არ არის ასახული „რუსეთის დესტრუქციული როლი“ უკრაინის ევროინტეგრაციის პროცესში. პარლამენტარებმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ განაცხადეს, რომ არ უჭერენ მხარს განცხადების ვარიანტს უკრაინის მოვლენებთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო.

### „არა მხოლოდ უკრაინის ბედია“

**საქართველოს დაახლოებით ხუთასმა მცხოვრებმა, მათ შორის საქართველოს ექსპრეზიდენტის სააკაშვილის პარტიის წარმომადგენლებმა, 11დეკემბერს მონაწილეობა მიიღო უკრაინელი ხალხის არჩევანის თავისუფლების მხარდასაჭერ მსვლელობაში, რომელიც გაიმართა „ევროპის გაერთიანებული მაიდნების“ აქციის ფარგლებში. აქციის მონაწილეები შეიკრიბნენ თბილისის საქალაქო საბჭოს შენობის მახლობლად, რომელიც ევრომაიდანის მხარდასაჭერად განათებული იყო უკრაინული დროშის ფერებით.**

**„ეს არის უკრაინელი ხალხის ნება, აირჩიოს თავისი მომავალი, გამოვიდეს პოსტსაბჭოთა ქაობიდან და გახდეს თავისუფალი მსოფლიოს ნაწილი. დღეს წყდება არა მხოლოდ უკრაინის ბედი. დღეს წყდება კიდევ ერთი თავისუფალი სამყაროს გაფართოების ბედი, რომლის ნაწილიც, გვწამს, არის საქართველოც. სოლიდარობისა და მხარდაჭერის ამ აქციით ჩვენ ვიცავთ ჩვენს თავისუფლებას“,** — განუცხადა ჟურნალისტებს გიორგი ბოკერიამ, რომელიც მიხეილ სააკაშვილის უახლოეს თანამებრძოლად ითვლება და რომელსაც ადრე საქართველოს უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელის თანამდებობა ეკავა.

### საქართველოს ექსპრეზიდენტი და უკრაინა

**თავად მიხეილ სააკაშვილი გასულ კვირას იყო უკრაინაში და გამოვიდა კიევში საპროტესტო დემონსტრაციის მონაწილეთა წინაშე სიტყვით უკრაინულ ენაზე. მოგვიანებით საქართველოს ექსპრეზიდენტმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ჩავიდა კიევში „როგორც კერძო პირი“, რათა მხარი დაუჭიროს უკრაინელ ხალხს და არა რომელიმე კონკრეტულ პოლიტიკურ ძალას.**

**„უკრაინისთვის არაფერია დაკარგული. არის დიდი პრობლემები, მაგრამ არის შანსიც. რასაკვირველია, უნდა გვესმოდეს, რომ ევროკავშირი — ეს მარტივი გზა როდია, იგი ემყარება რაღაც პრინციპებს... ხოლო იყო პუტინის ხელქვეითი, ძალიან მარტივია. რაც უფრო კორუმპირებული იქნება, რაც უფრო კრიმინალური იქნება, რაც საშუალო იქნება ნებისმიერი ქვეყანა, ადამიანი ან ხელისუფლება... მით მეტი კმაყოფილებით მიიღებს მას რუსეთის ხელმძღვანელობა და მოეფერება თავისი დათვის თათით“,** — განაცხადა სააკაშვილმა უკრაინის არხ „ტბი“-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

11 დეკემბერს საქართველოს ექსპრეზიდენტის გვერდზე „ფეისბუქის“ ოფიციალურ ქსელში გაჩნდა ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ მიხეილ სააკაშვილი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების სენატისა და წარმომადგენელთა პალატის წარმომადგენლებს და გააცნო მათ სიტუაცია უკრაინაში.

Voice of America




## დედამიწის ზურგზე




### შვეიცარიელებმა ისწავლეს განქორწინება ინტერნეტის მეშვეობით, თავისუფლებას ყიდულობენ, როგორც საქონელს ონლაინ-მაღაზიაში

ონლაინ-სერვისები, რომლებიც წყვილებს საშუალებას აძლევენ შეადგინონ ხელშეკრულება განქორწინების შესახებ და გაგზავნონ იგი სასამართლოში, სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. ასეთი პროცედურა სამჯერ უფრო იაფი აღმოჩნდა და ასევე საგრძნობლად სწრაფი, ვიდრე ტრადიციული განქორწინების პროცესები.

### თოვლის ქარიშხალი ახლო აღმოსავლეთში: მსხვერპლია ლიბანსა და სირიაში



სიცივისგან დაიღუპა ორი ბავშვი — ერთი ერთი წლისა და მეორე ექვსი თვისა ლტოლვილთა კარვის ქალაქებში სირიის ხომსეში და ალეპოში. ლიბანში სამი კაცი დაიღუპა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებში მოყინულ გზებზე. ისრაელში გადაკეტილია გზატკეცილები, იერუსალიმი თოვლითაა დაფარული, არ დადის ავტობუსები, ბევრ ქალაქში სკოლებში მეცადინეობა გადადებულია.

### უკრაინამ განაახლა ევროკავშირთან დაახლოების მომზადება




„ევროკავშირის ოფიციალურ პირებს იმედი აქვთ, რომ შეთანხმებას შეიძლება ხელი მოეწეროს 2014 წელს ევროკავშირ-უკრაინის ყოველწლიურ სამიტზე“, — იუწყება წყაროები ბრიუსელში. აქტივისტები მაიდანზე ჯერჯერობით არ ჩქარობენ გამოაცხადონ გამარჯვების შესახებ, ისინი კვლავ ამაგრებენ ბარიკადებს. პარასკევი ღამე მოედანზე დაახლოებით 13 ათასმა კაცმა გაატარა.

### ავიაკატასტროფაში ჰავაის კუნძულებზე დაიღუპა ჩინოვნიკი ქალი, რომელმაც დაამოწმა ობამას მოქალაქეობა

პატარა თვითმფრინავმა, რომლის ბორტზეც ცხრა კაცი იმყოფებოდა, განიცადა ავარია კუნძულ მოლოკაის საპანიროზე. კატასტროფა ძრავების გაჩერების გამო მოხდა. მაშველებმა რვა გადარჩენილი წყალში აღმოაჩინეს მაშველ ჟილეტებში. დაიღუპა მხოლოდ ლორეტა ფადი.

# როგორ (ვერ) შევხვდი ნელსონ მანდელას გარდაცვალებამდე ოციოდე დღით ადრე

ჩემს ჟურნალისტურ იღბალს არაერთხელ მოუცია ამგვარი შანსი. სანამ ნელსონ მანდელას სახლს, მის ღობეს, ჭიშკარს, ბალახის ხალიჩას და აყვავებული ჟაკარანდების ფოტოებს ვიღებდი, თავში აფუთფუთებული ოპტიმიზმისა და პესიმიზმის, ოცნებისა და პრაგმატიზმის, საღი აზრის, ინფორმაციის, ემოციის, რისკის, ლოგიკის, ალბათობისა თუ იმედის ფუტკრები ნელსონ მანდელასთან შესაძლო შეხვედრის პერსპექტივას განიხილავდნენ. რა მოხდება, რომ ახლა ჭიშკარზე ზარი დავრეკოთ, ვინც არ უნდა გამოვიდეს, ვუთხრათ, რომ ჩვენ — მე და ელგუჯა ბერიშვილი ქართველი ჟურნალისტები ვართ, მოვედით, რათა საქართველოს სახელით მოვესალმოთ ნელსონ მანდელას, ჩვენი პატივისცემა დავუდასტუროთ მას, გამოვხატოთ აღტაცემა მისი ძლიერი პიროვნებით და მცირედი საჩუქარიც გადავცეთ... მოიცა, მოიცა, რომელი საჩუქარი?! ღია ბარათი და სამკერდე ნიშანიც კი არა მაქვს თან! როგორია, ქართველი ჟურნალისტები ნელსონ მანდელასთან შეხვედრას ითხოვენ და ასეთი მოუმზადებლები კი არიან! ელგუჯასთვის ხომ არ მეკითხა, იქნებ მას მაინც ჰქონდეს ჯიბეში სამკერდე ნიშანი?! არა, რომც ჰქონდეს, სამკერდე ნიშანი საქმეს ვერ უშველის, ზარის დარეკვა უაზრობაა — წინასწარი შეთანხმების და საგანგებო ნებართვის გარეშე არავინ შეუშვებს 95 წლის მანდელასთან მისი სახლის ზღურბლთან შემთხვევით მოხვედრილ ორ უცხოელ ჟურნალისტს. ან ეს სამკერდე ნიშანი რა მისი საკადრისი საჩუქარია! ჩემმა ფუტკრებმა თავიანთი ეს დასკვნა უკვე მანქანაში ასვლისას დამაწიეს. კიდევ ერთხელ მივიხედე მანდელას ეზოს ჭიშკრისაკენ, რომელსაც ზარი, მგონი, საერთოდ არ ჰქონდა. უკვე მანქანაში მჯდარი კი ვიხსენებდი, მსგავსი მოულოდნელი შესაძლებლობების შედეგად როგორ (ვერ) შევხვდი თავის დროზე ინდირა განდის, ფიდელ კასტროს, რონალდ რეიგანს, და აგერ სულ ახლახან ჰოლანდიის მეფეს, ვილემ ალექსანდერს.

თუმცა, სამხრეთაფრიკაში, უპირველეს ყოვლისა, ნიკო ბურის ნაკვალევი მაინტერესებდა, იმ წუთში, იმ გაშვებული შანსის შემდეგ, საკუთარ თავზე მომდიოდა გული: როგორ, კაცი სამხრეთაფრიკაში იყო და ნელსონ მანდელა ვერ ნახო?! ჩვენ ხომ ასეთები ვართ, ადამიანები — რატომღაც გვგონია, რომ მისი თანამედროვე ყველა ფლორენციელი ყოველდღე ხედავდა ლეონარდო და ვინჩის, ხოლო მეთორმეტე საუკუნის ყველა ქართველი პირადად იცნობდა შოთა რუსთაველს!

ლეონარდოსა და რუსთაველზე არა და, ვილემ ალექსანდერზე გამახსენდა: განა მანდელაზე ბევრად ნაკლები ფიგურაა მანდელამდელი პრეზიდენტი ფრედერიკ ვილემ დე კლერკი? განა ის არ იყო, რომ 1989 წელს, პრეზიდენტად არჩევისთანავე გააუქმა რამდენიმე აპარტეიდული კანონი, პატიმრობიდან გაათავისუფლა მანდელა და მისი არაერთი თანამებრძოლი, მოახდინა ანტიაპარტეიდული პოლიტიკური ორგანიზაციების ლეგალიზება და, ბოლოს და ბოლოს, განა ის არ იყო, რომ მის მიერ პატიმრობიდან გათავისუფლებული მანდელას პრეზიდენტად არჩევის შემდეგ მის მოადგილეობას დათანხმდა და კიდევ ორ წელიწადს ემსახურა ქვეყანას?! შემთხვევითი არ არის, რომ 1993 წლის მშვიდობის ნობელის პრემია მანდელას და დე კლერკს ერთობლივად მიანიჭეს. პრემიის გადაცემის ცერემონია 1993 წლის 10 დეკემბერს შედგა ოსლოში. ზუსტად 20 წლის შემდეგ 2013 წლის 10 დეკემბერს დე კლერკი იოჰანესბურგში ჩავა და პატივს მიაგებს თავისი მრავალწლიანი მტერ-მოყვრის ხსოვნას. არა, არაფრით არ არის ეს კაცი მანდელაზე ნაკლები. და საერთოდაც, მანდელას შესახებ, მისი როლის თაობაზე რამდენადმე განსხვავებული აზრიც არსებობს. მაგრამ ასეა თუ ისე, დღეს იგი ბოლო დიდ განმათავისუფლებლად არის აღიარებული.




მანდელასა და ტამბოს სადვოკატო ფირმის განახლებული შენობის ერთი ფასადი






სოკერ-სიტის სტადიონი, სადაც ხალხს უკანასკნელად ეჩვენა ცოცხალი მანდელა და რომელიც პირთამდე აივსო 10 დეკემბერს მისი სამოქალაქო პანაშვიდის დღეს (მარჯვნივ)

ამასობაში გიდმა მანქანა ძველ იოჰანესბურგში, ფოქსისა და ჟერარ სეკოკოს ქუჩების კუთხეში კიდევ ერთი კოხტა შენობის წინ გააჩერა. „მანდელა & ტამბო, ადვოკატები“ — ეწერა ფასადზე. ეს ყოფილა 1953 წელს დაარსებული შავკანიანთა პირველი ფირმა სამხრეთაფრიკაში. ოლივერ ტამბოც დაუღალავად იბრძოდა აპარტეიდის წინააღმდეგ. ფირმას საკმაოდ დაძაბული საადვოკატო პრაქტიკა ჰქონდა, მხოლოდ შავკანიანებს ემსახურებოდა, უმეტესად — უფასოდ, და ხშირად ისეთ საქმეებს ჰკიდებდნენ ხელს, რომლებზეც მათი პოლიტიკური და რასობრივი ხასიათის გამო სხვა ადვოკატები უარს ამბობდნენ. სწორედ ერთ-ერთი ასეთი საქმის, ტრესონის საქმის გამო დააპატიმრეს 1956-ში მანდელაც და ტამბოც. ამის შემდეგ ფირმამ არსებობა შეწყვიტა, ხოლო ფირმის სამსართულიანი შენობა 1960 წელს მთლიანად გადაუწვავთ. 2011 წელს შენობა აღადგინეს, როგორც იმ პირველი ფირმის ერთგვარი ძეგლი და აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლის მუზეუმი.

მერე სოკერ-სიტის სტადიონი დავათვალიერეთ, სწორედ ის, სადაც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი გაიმართა და სადაც ბოლოჯერ გამოჩნდა სახალხოდ ნელსონ მანდელა. მისი ერთ-ერთი უკანასკნელი სახალხო გამოჩენაც ამ სტადიონს უკავშირდება. სწორედ აქ გაიმართა მისი სამოქალაქო პანაშვიდი 10 დეკემბერს, რომელსაც მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყნის უმაღლესი დონის დელეგაცია და ათეულათასობით სამხრეთაფრიკელი მოქალაქე დაესწრო — თეთრი თუ შავი. მომდევნო სამ დღეს მანდელას ნეშტი პრეტორიაში, იუნიონ-ბილდინგსში იქნება დასვენებული, 15-ში კი მშობლიურ სოფელ კუნუში დაკრძალავენ.

...მერე იყო სოუეტო — შავკანიანთა ყველაზე დიდი დასახლება სამხრეთაფრიკაში, დიდი იოჰანესბურგის ნაწილი, ერთგვარი ქალაქი ქალაქში.

სოუეტოში ტემბუს ტომის ბელადის შვილი როლილაჰლა მანდელა მომავალი პრეზიდენტი იჯდა ციხეში. თუმცა იმ ქვეყანაში, სადაც ოთხი დედაქალაქი და თერთმეტი ოფიციალური ენაა, სადაც 5 დეკემბერს გარდაცვლილ ყველაზე პატივსაცემ ადამიანს 15 დეკემბერს ასაფლავებენ და სადაც პრეზიდენტს ხუთი ოფიციალური მეუღლე ჰყავს, ასეთი რამ საკვირველი სულაც არ არის.

ხოლო პრეტორიაში მე და ელგუჯას ნამდვილი სიურპრიზი გველოდა. სამხრეთაფრიკის კიდევ ერთი დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე სურათებს ვიღებდით. თან სადილად მიგვეჩქარებოდა. ელგუჯამ ცოტათი გამასწრო. მე ჩამოვრჩი და რამდენიმე კადრი კიდევ გადავიღე. ბრიტანული კოლონიური სტილის თაღებიან-სვეტებიანი შენობის შესასვლელში სამი შეიარაღებული გვარდიელი იდგა — სამი ნამდვილი პრეტორიანელი. არ შეიძლებოდა, მათთვის სურათი არ გადამეღო. ის იყო, ბოლო კადრი ჩავაჩხაკუნე, რომ ვიზირშივე დავინახე, როგორ წამოვიდა ერთი მათგანი ჩემსკენ. ეტყობა, გადაღება აკრძალულია-მეთქი, გავიფიქრე და ასეთი დროისთვის საჭირო ტექსტები მოვამზადე — „არ ვიცოდი“, „უცხოელი ჟურნალისტი ვარ“, „ამ ფოტოს გამოქვეყნებას არ ვაპირებ“ და ასე შემდეგ.

უკვე ნელსონ მანდელად გაიცნეს. ასეთი წესი იყო, — შავკანიანთა ბავშვებს სასწავლებელში შესვლისას ევროპულ სახელებს არქმევდნენ.

— მე ისევე ვიბრძოლებ შავების დომინაციის წინააღმდეგ, როგორც თეთრების დომინაციის წინააღმდეგ ვიბრძოდი, — უთქვამს ნელსონ მანდელას, სამხრეთაფრიკის პირველ შავკანიან პრეზიდენტს, როცა ის ამ პოსტზე აირჩიეს 1994 წელს.

სოუეტოში არის ერთი პატარა ქუჩა, რომელზეც ორი სახლ-მუზეუმია: თავის დროზე აქ, სულ რაღაც 50 მეტრის დაშორებით უცხოვრია ნობელის პრემიის ორ ლაურეატს — ნელსონ მანდელასა და დესმონდ ტუტუს. ეს ქუჩა ისეთივე უნიკალურია, როგორც რობენაილენდი, სადაც ერთდროულად სამხრეთაფრიკის სამი

ამასობაში ის პრეტორიანელი მომიახლოვდა და უემოციო სახით მკითხა:

— არ გინდა, შიგნიდანაც გადაიღო?

დავიბენი. მხრები ავიჩეჩე. არც ერთი მომზადებული ტექსტი არ გამომადგა.

როგორ არა, ძალიან მაინტერესებს-მეთქი.

— მოდი, მოდი, აქ ჩვეულებრივ არავის ვუშვებთ, არც გადაღება შეიძლება!

ამას ხომ ისედაც მივხვდი, მაგრამ რატომ მეპატიჟებოდა, ეს ვერ გამეგო.

კიბეებზე რომ ავდიოდით, მარტო არა ვარ-მეთქი, ვუთხარი და ელგუჯა დავანახე, რომელსაც რესტორნისკენ აეღო კურსი.

ჰოდა, იმასაც დაუძახეო.

დღესაც არ მჯერა: იმ დალოცვილმა პრეტორიანელმა ნაბიჯ-ნაბიჯ მოგვატარა სამხრეთაფრიკის უზენაესი სასამართლოს გაუტენგის დივიზიონის შენობა, სადაც ნელსონ მანდელას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, რომლიდანაც მისი თანანობელიანტის წყალობით მან მხოლოდ 28 წელი მოიხადა.

აი, დარბაზი, სადაც განაჩენი გამოაცხადეს.

აი, ტრიბუნა, საიდანაც მანდელამ თავისი საბოლოო სიტყვა წარმოთქვა.

აი, კიბე, რომლითაც იგი ამ დარბაზში ამოიყვანეს.

ჩვენი მასპინძელი ისე გატაცებით გვაცნობდა თავისი ქვეყნის ისტორიის ფურცლებს, თითქოს სერტიფიცირებული გიდი იყო ან ჩვენ ვიყავით სამხრეთაფრიკის უზენაესი სასამართლოს საპატიო სტუმრები.

მაშინ მივხვდი, რატომაც შეგვიპატიჟა — მას თავისი ქვეყნის ისტორიის თუ მანდელას ბიოგრაფიის ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდის ერთგვარი თანაზიარობა ეამაყებოდა და მისი სიამაყის ჩვენთვის ჩვენება თუ გაზიარება ეწადა.

— გინდათ, ის საკანიც გაჩვენოთ, სადაც მანდელა სასამართლოს დღეებში იჯდა?

აქ კი შემეპარა ეჭვი! თუ საკანში შეგვიტყუა, კარები გარედან ჩაგვიკეტა და დაგვატუსაღა, ოხრად დაგვრჩება ის ჩვენი სადილი-მეთქი, გავიფიქრე. მერე სამუდამო პატიმრობა და 28 წელი, ალბათ, არა, მაგრამ თუნდაც 28 დღე რომ მოესაჯათ აკრძალული შენობის ფოტოგადაღებისთვის, დიდი ვერაფერი პერსპექტივა იქნებოდა ჩვენთვის.

გვინდა, მაგრამ თუ არ დაგვაპატიმრებ, კარგი იქნება-მეთქი, ხუმრობით ვცადე აღელვების დაფარვა.

გაიცინა და საკნის ვეება გასაღები ჰაერში შეათამაშა.

საკანი პატარა იყო, მაგრამ იმაზე გაცილებით დიდი, რომელიც რამდენიმე დღით ადრე ვნახე რობენაილენდზე და რომელშიც მანდელამ 17 წელი გაატარა.

ხოლო კედელზე მანდელას ხელით მისი „თავისუფლების ქარტია“ ეწერა. ეს იმ ტექსტის ორიგინალი გახლდათ, რომელსაც დღეს სამხრეთაფრიკის სკოლებში ასწავლიან. ავაჩხაკუნეთ ფოტოაპარატები. ის კეთილი პრეტორიანელი მოთმინებით გველოდა და აზრადაც არ მოსვლია, ჩვენი გარედან ჩაკეტვა, თუმცა, რომც ჩავეკეტეთ, მაინც კმაყოფილები დავრჩებოდით ჩვენი ჟურნალისტური იღბლისა. როგორია — პრეტორიანული გვარდიელი პრეტორიის უმაღლესი სასამართლოს სწორედ იმ საკანში გკეტავს, სადაც სასამართლოს მიმდინარეობისას ნელსონ მანდელა იჯდა და რომლის კედელზეც მისი ხელით დაწერილი „თავისუფლების ქარტიაა“ აღბეჭდილი.

მოჰკლულია სადილს პატრონი!

ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს თვალს ვადევნებდი, როგორ წერდა ნელსონ მანდელა საკნის კედლებზე ქარტიის სიტყვებს.

ეს ჩემი ბოლო შეხვედრა იყო მანდელასთან.

მასთან ჩემი შეხვედრები საკანში დაიწყო და საკანშივე დამთავრდა.

ალბათ, კვლავაც მოვხვდები სამხრეთაფრიკაში. ალბათ, კვლავაც მოვივლი ქვეყნის ოთხივე დედაქალაქს, კვლავაც მოვიხილავ კეთილი იმედის კონცხსა თუ აგუილას — ატლანტისა და ინდოეთის ოკეანეთა გამყოფს, კვლავაც ვეწვევი სან-სიტის თუ ქალინენის ალმასის საბადოებს, კვლავაც იქნება საფარი პილანესბერგის ნაკრძალში და კვლავაც გადავუფრენ ზემოდან საჰაერო ბურთით მდინარე მაგალის ულამაზეს ხეობას...

მაგრამ ეს უკვე სხვა სამხრეთაფრიკა იქნება, უკეთესი თუ უარესი, არ ვიცი, მაგრამ სხვა — უმანდელო, უნელსონმანდელო სამხრეთაფრიკა.

და რომ არა ამ მსოფლიოკაცის გარდაცვალება, ჩემი სამხრეთაფრიკული ჩანაწერები, ალბათ, რამდენადმე სხვა სახეს მიიღებდა.

ხოლო მანდელასთან ჩემი შეხვედრების ამსახველ ფოტოებს ინტერნეტიდან ამოკრებილ იმ ფოტოებს არ დავურთავდი, რომლებიც იმავე ადგილებს ასახავს უკვე მანდელას გარდაცვალების შემდეგ.




მანდელას ხელით დაწერილი „თავისუფლების ქარტია“ პრეტორიის უმაღლესი სასამართლოს საპატიმრო საკნის კედელზე

**პაატა ნაცვლიშვილი.**

დასასრული. დასაწყისი იხ. № 241

◉ სეზონის გვირგვინი

# უპრეცედენტო ფალავნობა — ვინ დაბრუნდება ცირკიდან მოგებული „მერსედესით“?



**15 დეკემბერს თბილისის ცირკი ქართულ ჭიდაობაში სეზონის დამაგვირგვინებელ შეჯიბრებას — ფალავნობას უმასპინძლებს. ტრადიციულ ყოველწლიურ ტურნირში, სავარაუდოდ, ტიტულოვანი ძიუდოისტების, სამბისტებისა და თავად ქართულ ჭიდაობაში სახელმოხვეჭილი სპორტსმენების სიუხვეს უნდა ველოდოთ, რადგან წლეულს საპრიზო ფონდი უპრეცედენტოდ მაღალია — 35 ათასი ლარი. საქართველოს 2013 წლის ფალავანს კი საჩუქრად ავტომობილი „მერსედესი“ გადაეცემა.**

ფალავნობა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ქართული ჭიდაობის ფედერაციის ორგანიზებით გაიმართება. გუშინ სამინისტროში წინასაშეჯიბრო პრესკონფერენცია გაიმართა. „ქართული ჭიდაობა ჩვენთვის სპორტის პრიორიტეტული სახეობაა. სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო კულტურის სამინისტროსთან ერთად აქტიურად მუშაობს მის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შესატანად“, — განაცხადა სპორტის მინისტრის მოადგილემ თამაზ თევზაძემ.

რაც შეეხება წმინდა სპორტულ მხარეს, მასზე ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა გელა ბერუაშვილმა და სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი დოლაბერიძემ ისაუბრეს.

ბერუაშვილის განცხადებით, მომავალ ტურნირში, საპრიზო ფონდიდან გამომდინარე, მონაწილეთა მოზღვავებას ელის, მაგრამ რაოდენობა შეზღუდული არაა და მთავარი პრიზისთვის ბრძოლაში ჩართვა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. ჩემპიონ-პრიზიორები 4 წონით კატეგორიაში: 80, 90, 100 და +100 კილოგრამებში გამოვლინდებიან, ფალავნობისთვის ბრძოლაში კი ოთხივე წონის ჩემპიონ-პრიზიორები ჩაერთვებიან.

„ძალიან კარგ ღონისძიებას ვგეგმავთ, რომელზე დასწრებაც უფასო იქნება და გვინდა, მაყურებელი მრავლად მოვიდეს. უკვე დაგვიკავშირდნენ ჩვენი ძიუდოისტთა ნაკრების წევრები, რომლებიც იაპონური შეკრებიდან ჩამოსვლას ფალავნობის დაწყებამდე ასწრებენ და სურთ შეჯიბრებაში ჩაერთონ“ — გვითხრა გელა ბერუაშვილმა.

ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა მხარში დგომისთვის სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობას მადლობა გადაუხადა. არც ფონდი „ქართუ“ დაივიწყა, რომლის ფინანსური მხარდაჭერითაც ფედერაციამ წლეულს მთელი საქართველოს მასშტაბით 17 ახალი საჭიდაო არენა ააშენა. ამავე პროექტის ფარგლებში 2014-2015 წლებში 70-მდე სარბიელის აშენებაა დაგეგმილი.

ირაკლი დოლაბერიძემ განაცხადა, რომ ქართული ჭიდაობა ქართული საჭიდაო სკოლის საფუძველია და გაცილებით მეტია, ვიდრე სპორტი. მან ფედერაციის ხელმძღვანელობას მომავალი ფალავნობის საორგანიზაციო მხარის მაქსიმალურად მაღალ ხარისხამდე აყვანა სთხოვა და იმედი გამოთქვა, რომ ამ ლამაზ ღონისძიებას გულშემატკივრების სიმრავლეც გაალამაზებს.

ფალავნობა ხვალ, დილის 11 საათიდან დაიწყება, ფინალური შეხვედრები კი 17 საათიდან შედგება.

**ბეჟან დოლიძე**

◉ უმაღლესი სკოლა

# სპორტსმენ მედიკოსთა საფეხბურთო ბატალიები

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სასწავლო პროცესთან ერთად, სპორტულ და კულტურულ ცხოვრებას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. მომავალი მედიკოსები თამამად ცდიან ბედს ხელოვნებასა და სპორტში და, უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებული შედეგებით გამოირჩევიან.**



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის (დირექტორი ზაურ ფხალაძე) და საუნივერსიტეტო საფეხბურთო გუნდის მწვრთნელის ვახტანგ ბაქანიძის ორგანიზებით არაერთი სპორტული ღონისძიება ტარდება, რომელშიც, ქართველ სტუდენტებთან ერთად, აქტიურობენ უცხოელი სტუდენტები.

დიდი ქართველი ფეხბურთელების — დავით ყიფიანის და რამაზ შენგელიას ხსოვნას და, ასევე, ცნობილ ქართველ ფეხბურთელს — რევაზ ძოძუაშვილს — მიეძღვნა სამედიცინო უნივერსიტეტში მიმდინარე წლის მიწურულს გამართული მათი სახელობის ტურნირები.



საამაყოა, რომ სტუდენტებს კარგად აქვთ გაცნობიერებული სასახელო სპორტული ტრადიციებისადმი პატივისცემა, რასაც შენარჩუნება სჭირდება.

**რამაზ შენგელიას** — ჯერ ქუთაისის „ტორპედოს“, შემდეგ — თბილისის „დინამოს“, ასევე, ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების წამყვანი თავდამსხმელის ხსოვნისადმი მიძღვნილ საფეხბურთო ტურნირში პირველკურსელი ფეხბურთელები მონაწილეობდნენ. ტურნირს ორგანიზება გაუკეთა სტუდენტმა დაჩი გიორგაძემ, მოთამაშეთაგან გამორჩეული გახლდათ გიორგი საღინაძე და ლაშა ოსეფაშვილი. პირველკურსელთა თამაშმა მაყურებლის სიმპათია დაიმსახურა.

**რევაზ ძოძუაშვილის სახელობის ტურნირში** უცხოენოვანი ფაკულტეტის სტუდენტები მონაწილეობდნენ. მინი-ფეხბურთის სატურნირო მატჩები საერთაშორისო სტატუსის გახლდათ და წარმოდგენილი იყო თურქ და ნიგერიელ სტუდენტთა 10 გუნდი. შეჯიბრი გამორჩეული გამოდგა — უცხოელები თამაშის შესანიშნავი სტილით გამოირჩეოდნენ, ფინალი კი დაძაბული, საინტერესო იყო. ბატონი რევაზ ძოძუაშვილი მოიხიბლა ახალგაზრდების თამაშით. საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა **„გალათასარიას“** ფეხბურთელი **ერხან ჩეთინი** („მარადონა“), ბომბარდირად, 10 გატანილი გოლით, — ნიგერიელი **ქლიფორდი,** საუკეთესო მეკარედ — **„გალათასარაის“** მეკარე **ქადირ უფუქაქანი,** გამორჩეულ მცველად — ნიგერიელთა კაპიტანი **ქრისი**.

ალსანიშნავია, რომ სამედიცინო უნივერსიტეტის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელს ბატონ ვახტანგ ბაქანიძეს ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტროს მიერ ახლახან საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა, რაც მისი დიდი ღვაწლის აღიარებაა; ვულოცავთ ბატონ ვახტანგს და სამომავლო წარმატებებს ვუსურვებთ სპორტულ ასპარეზზე!



**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ კონტრაქტი

# „ბარსელონა“ ინიესტას შეუთანხმდა



**კატალონიის „ბარსელონა“ და ნახევარმცველი ანდრეს ინიესტა ახალ კონტრაქტზე საბოლოოდ შეთანხმდნენ. Football Espana-ს ცნობით, ესპანელი კლუბთან მოქმედ კონტრაქტს 5 წლით გაახანგრძლივებს და „კამპ ნოუზე“ 2020 წლამდე დარჩება.**

ინიესტას წლიური ანაზღაურება 10-11 მილიონი ევრო იქნება. ამგვარად, 29 წლის ნახევარმცველი გუნდში ლიონელ მესის შემდეგ ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება.

სავარაუდოდ, „ბარსელონა“ ინიესტასთან შეთანხმებას ოფიციალურ სახეს ახალ წლამდე მისცემს.

**გიორგი შოთაძე**

◉ ინტერნეტიდან

# რა არის კრისტი გალაჰერის სიხარულის მიზეზი?

**ძალიან კარგი და გულიანი ვინმე ჩანს ცნობილი ბრიტანელი ტელეწამყვანი კრისტი გალაჰერი, რომელსაც მრავალი თანამემამულის მსგავსად ფეხბურთი ძალიან უყვარს და როდესაც თავისუფალ დროს ნახულობს, საყვარელ საფეხბურთო კლუბს „ლივერპულს“ ქომაგობს.**

კრისტი გალაჰერმა ყმაწვილქალობის წლები, მართალია, უკან მოიტოვა, მაგრამ ტელეწამყვანობის პარალელურად კვლავ აქტიურად იღებს ფოტოსესიებში მონაწილეობას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ფოტოებში აღებულ ფულს მთლიანად სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდში რიცხავს.

კრისტი გალაჰერს გულშემატკივრები და კეთილისმოსურნენი, ცხადია, არ აკლია და როგორც კოლეგებთან საუბარში ამბობს, ყველაზე მეტად მისი ერთგული თაყვანისმცემლების სიმრავლე ახარებს. ამ თაყვანისმცემლებში კი, ბუნებრივია, ბლომად არიან „ლივერპულის“ ფანებიც...

**როსტომ რაჭველიშვილი**



◉ ოკეანის გაღმა



# „ბაიერნი“ MLS-ის „ვარსკვლავების“ წინააღმდეგ

**გერმანიის ბუნდესლიგისა და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული მიუნხენის „ბაიერნი“ მომავალ ზაფხულს ამერიკის საფეხბურთო ლიგის (MLS) გუნდების „ყველა ვარსკვლავის“ მეტოქე იქნება.**

ფიფას ოფიციალური საიტის ცნობით, მატჩი „ოცნების გუნდთან“ 6 აგვისტოს პორტლენდში გაიმართება.

„ჩვენთვის დიდი პატივია ვიყოთ პირველი გერმანული გუნდი, რომელიც MLS-ის „ყველა ვარსკვლავის“ წინააღმდეგ ითამაშებს“ — განაცხადა „ბაიერნის“ მთავარმა მწვრთნელმა ხესეპ გვარდიოლამ.

გასულ ზაფხულს MLS-ის „ვარსკვლავები“ იტალიურ „რომასთან“ 1:3 დაამარცხდნენ, ხოლო 2012 წელს „ვარსკვლავებმა“ ლონდონის „ჩელსის“ 3:2 ძლიეს. წინა პერიოდში „ყველა ვარსკვლავის“ წინააღმდეგ „მანჩესტერ იუნაიტედს“, „ევერტონსა“ და გვადალახარის „ჩივასს“ უთამაშიათ.

**მანუჩარ გიორგაძე**

ალიან-ჩალიანი

## რა ხელშეკრულებას მოაწერა ხელი სააკაშვილის ხელისუფლებამ მალულად?

**საქართველოს** სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი წინა ხელისუფლებასა და ხუდონჰესის ინვესტორს შორის გაფორმებულ უცნობ ხელშეკრულებებზე საუბრობს.

სახალხო დამცველმა კომპანია „ტრანსელექტრიკასთან“ გამართული შეხვედრა ჟურნალისტებთან შეაფასა და აღნიშნა, რომ აპარატმა მათგან საკმაოდ დიდი მოცულობის ინფორმაცია მიიღო.

— თუმცა, ჩვენთვის ასევე ძალიან ბევრი ინფორმაცია გახდა ცნობილი. მაგალითად ის, რომ თურმე არსებობს კიდევ სხვა ხელშეკრულებები საქართველოს ხელისუფლებასთან, რომელიც მანამდე ჩვენთვის უცნობი იყო. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ ჩვენ მოვიპოვოთ იმ კონტრაქტის ასლები, რომლებიც წლების განმავლობაში ყოფილა თურმე დადებული და გაფორმებული ინვესტორსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის, — განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

მისივე თქმით, საკითხთან დაკავშირებით მუშაობა გრძელდება და საბოლოო დასკვნა მალე გახდება ცნობილი.

## ერთსქესიანთა ქორწინებას ჩვენც გვაიძულებენ

**ევროკავშირის** სასამართლოს დადგენილებით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, მათ შორის, სადაც ერთსქესიანთა ქორწინება აკრძალულია, ერთსქესიანმა წყვილებმა იმავე პრივილეგიებითა და შეღავათებით უნდა ისარგებლონ, რითაც ტრადიციული წყვილების ოჯახები სარგებლობენ. ამის შესახებ ინფორმაციას ევროკავშირის სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი აქვეყნებს.

ინფორმაციის თანახმად, ასეთი გადაწყვეტილება ევროკავშირის სასამართლომ მას შემდეგ მიიღო, რაც სასამართლოში საფრანგეთის ერთ-ერთი ბანკის თანამშრომლის ფრედერიკ ჰეის სარჩელი შევიდა.

ცოტა ხნით ადრე, ფრედერიკ ჰეის უარი ეთქვა კომპანიაში ახლადდაქორწინებული წყვილებისთვის განკუთვნილი სახელფასო ბონუსის ჩარიცხვაზე მას შემდეგ, რაც ბანკის თანამშრომელმა თავის პარტნიორ მამაკაცთან „სოლიდარობის შესახებ სამოქალაქო შეთანხმება“ გააფორმა (ფრანგული კანონების მიხედვით, „სოლიდარობის შესახებ სამოქალაქო შეთანხმება“, ორ ადამიანს შორის ერთობლივი თანაცხოვრების მიზნით ფორმდება).

ფრედერიკ ჰეიმ კომპანიის ეს ნაბიჯი საფრანგეთის სასამართლოში გააპროტესტა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ იმ დროისთვის საფრანგეთში ერთსქესიანთა ქორწინება დაშვებული არ იყო. საფრანგეთის პრეზიდენტმა ქვეყანაში ერთსქესიანთა ქორწინების დაშვების შესახებ კანონს ხელი 2013 წლის მაისში მოაწერა, რის შედეგადაც შესაბამისი ცვლილებები შრომის კოდექსში შევიდა.

სასამართლოს განცხადებით, ჰეისთან დაკავშირებული შემთხვევა პირდაპირი დისკრიმინაციაა სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე.

ამასთან, ევროკავშირის წევრ ბევრ ქვეყანაში ერთსქესიანთა ქორწინება ამ დრომდე აკრძალულია.

## უსახლკაროთა დახმარების ცენტრები რეგიონებშიც გაიხსნება

— **ამის** შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა.

— დახმარება ორიენტირებული იქნება კონკრეტულ შედეგზე, რათა არც ერთი ადამიანი არ იყოს გაყინული და მშიერი, — აღნიშნა დავით სერგეენკომ.

## უამინდობის გამო, სასწავლო პროცესი 86 სკოლაში შეწყდა

**ამის** შესახებ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტიდან იტყობინებიან.

მათივე ინფორმაციით, აქედან, 69 სკოლა მდებარეობს აჭარაში, კერძოდ: ქედაში, შუახევში და ხელვაჩაურში. უამინდობის გამო სასწავლო პროცესი ასევე შეწყვეტილია გურიის 4 სკოლაში, იმერეთში — 6 სკოლაში, კახეთში, კერძოდ, ახმეტის ერთ სკოლაში, რაჭა-ლეჩხუმქვემო სვანეთში — ერთ სკოლაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში — 4 სკოლაში.

რაც შეეხება დედაქალაქს, უამინდობის გამო, სასწავლო პროცესი თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში მდებარე 209-ე სკოლაშია შეჩერებული.

როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განმარტავენ, გაცდენილი საათები აუცილებლად ანაზღაურდება.

## მექრთამეებმა ჭკუა ვერ ისწავლეს

**შინაგან** საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ეკონომიკის დეპარტამენტის ანალიზისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, 1960 წელს დაბადებული გიორგი მერლანი ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გიორგი მერლანმა თანამდებობრივი უფლება-მოვალეობის შესრულებისას, თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით, მოქალაქეს მიწის ნაკვეთის აღნაგობის უფლებით გადაცემის სანაცვლოდ, ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა 30 000 აშშ დოლარი. გიორგი მერლანი ამ დროისთვის დაკავებულია.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს, რაც 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## მოსკოვში „პეცო“ დააკავეს

**მოსკოვში**, ეგრეთ წოდებული კანონიერი ქურდი რეზო ბუხნიკაშვილი, იგივე პეცო, დააკავეს. ინფორმაციას ამის შესახებ ადგილობრივი მედია იუწყება.

გავრცელებული ინფორმაციით, ქართველი კრიმინალი მოსკოვის ცენტრში ერთ-ერთი ბინის ძარცვაში მონაწილეობდა, რომლის დროსაც თავდამსხმელებსა და პოლიციის თანამშრომლებს შორის ორმხრივი სროლა მოხდა.

გავრცელებული ინფორმაციით, სროლის შედეგად ორი პოლიციელი დაიჭრა.

ინტერპრესი

წარსულის ნაკვალევზე

# ატლანტიდა, ჰიპერბორეა – მითი თუ რეალობა?

**ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი ვერაფრით წარმოიდგინა, რომ მისი ცნობილი თხზულება „დიალოგები“, რომელშიც იგი ძველ ატლანტიდას ახსენებს, კაცობრიობას ამხელა თავსატეხს გაუჩენდა. ზოგიერთს მისი „დიალოგები“ ლამის კაცობრიობის უმთავრეს წიგნად მიაჩნია, ზოგიერთნი კი მას ეჭვის თვალით უცქერენ და ერთგვარად „ძველბერძნულ ყვითელ პრესად“ აცხადებენ, სადაც ფაქტები საგანგებოდაა გაყალბებული.**

თავად პლატონმა ატლანტიდის შესახებ ბევრი არაფერი იცოდა. ეს სახელმწიფო კუნძულზე თუ კუნძულთა ჯგუფზე მდებარეობდა და თავისი განვითარების დონით ყველა მეზობელს დიდად უსწრებდა. იგი აღნიშნავს, რომ ატლანტიდის მკვიდრებს მინდორში მუშაობა დიდად არ ეხალისებოდათ, თუმცა კი წელიწადში ორ მოსავალს იღებდნენ. ისინი უფრო მეომრები იყვნენ და მეზობლებსაც ხშირად ესხმოდნენ თავს. ბოლოს ბერძნებს ეს ამბავი ყელში ამოუვიდათ და ატლანტიდა დალაშქრეს. **„მაგრამ თავდასხმის დღეს მიწისძვრა და წარღვნა იყო, ათენის ჯარი მიწამ ჩაიტანა, ატლანტიდა წყალმა დაფარა“**. ეს ამბავი ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით ცხრა ათასი წლის წინათ მოხდა.

ეს ამბავი ფილოსოფოსმა თითქოს თავისი პაპისგან სოლონისგან შეიტყო, რომელიც ეგვიპტეში მოგზაურობისას იქაურ ქურუმებს, ძველ საიდუმლოებათა მცოდნეებს დაუახლოვდა და ატლანტიდის ამბავიც მათგან შეიტყო. მისი თქმით, ატლანტიდა სადღაც ატლანტიკის ოკეანეში, ჰიბრალტარის სრუტის დასავლეთით მდებარეობდა.

პლატონის გარდა, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნეში ცხოვრობდა, ატლანტიდას სხვა ძველი მწერლებიც ახსენებდნენ. მაგალითად, პლატონამდე საუკუნით ადრე, ისტორიის მამად წოდებული ჰეროდიტე წერდა: **„მლაშე ტბასთან ატლასის მთაა, ვიწრო და იმდენად მაღალი, რომ მისი მწვერვალი მთელი წლის განმავლობაში მუდამ ღრუბლებშია გახვეული. ადგილობრივმა მოსახლეობამ სახელი სწორედ მისგან მიიღო, თავის თავს იმიტომაც უწოდებენ ატლანტებს“**. მაგრამ სკეპტიკოსები ამტკიცებენ, რომ ამ ხალხს ატლანტიდასთან საერთო არაფერი აქვს. ატლასის მთები აფრიკაშია, აღწერილი ხალხი კი ლიბიელთა წინაპრები არიან და ძველად არავითარი ზეცივილიზაცია არ შეუქმნიათ.

მეორე ძველი ბერძენი ფილოსოფოსი ფეოპომპი ერთგვარ მრავალქალაქიან უზარმაზარ კუნძულოვან სახელმწიფოს აღწერს, რომელმაც **„ერთხელ ოკეანეს გაღმა ჰიპერბორეის დასაპყრობლად... ათმილიონიანი (!) ჯარი გაგზავნა. მაგრამ, როცა მომხდურებმა ნახეს, თუ როგორ ცხოვრობდნენ ჰიპერბორეელები, ისინი უბადრუკებად ჩათვალეს და უკან გაბრუნდნენ“**. თუმცა, ჰიპერბორეაც მითიური სახელმწიფოა, ხოლო სახელწოდება „ატლანტიდა“ ფეოპომპს არც უხმარია.

აი, სულ ესაა ის წყაროები, სადაც მითიური ატლანტიდის შესახებ რაღაც მისხალი ცნობები მოიპოვება. მართალია, მას მოგვიანებითაც ხშირად ახსენებდნენ, მაგრამ ზემოაღნიშნული ნაშრომები პირველწყაროებია.

არც ერთ ძველ ავტორს ლეგენდარული ატლანტიდის კოორდინატები ზუსტად არ მიუთითებია. მიუხედავად ამისა, მკვლევართა აზრით, **ძიების თვალსაზრისით ყველაზე პერსპექტიული რაიონებია ბაჰამის კუნძულებთან, კუბასთან, კრეტასთან, სანდორასთან, სან-პაულუსთან, ჰიბრალტარის შესართავთან, ასევე ესპანეთისა და ირლანდიის სანაპიროებთან.** გაბნევა, როგორც ხედავთ, ძალიან დიდია – ევრაზიიდან სამხრეთ ამერიკამდე და ჩრდილოეთ აფრიკიდან ჩრდილოეთ ევროპამდე. არადა, სწორედ ეს გაბნევა ესადაგება თანამედროვე „ატლანტიდურ თეორიას“, რომელსაც კლასიკური მეცნიერება დიდი ეჭვით უცქერის. ატლანტოლოგებს მიაჩნიათ, რომ მითიური სახელმწიფო ატლანტიკის უზარმაზარ კუნძულზე რომ დაუბრკოლებლად დადიოდნენ ევროპაშიც, აფრიკაშიც და ამერიკაშიც. მათი კოლონიები მთელს დედამიწაზე იყო მიმოფანტული. ამიტომაცაა, რომ **მრავალ ხალხს აქვს ლეგენდა იდუმალ სახელმწიფოზე, რომელიც სტიქიის შემოტევის შედეგად გაუჩინარდა.**

ატლანტიდის არსებობის დამამტკიცებელი ერთადერთი გზაა მისი მიგნება. მაგრამ განვლილი ათასწლეულების შემდეგ ფსკერზე ცოტა რამ თუ იქნება შემორჩენილი. თუ ატლანტები რკინას იყენებდნენ, ამ ხნის მანძილზე მისი ყველა კვალი წაიშლებოდა, გადარჩენის შანსი მხოლოდ ოქროს აქვს. ამასთან, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ატლანტები ათმეტრიან ოქროს ქანდაკებებს დგამდნენ, უფრო მცირე ზომის საგნების ფსკერზე პოვნა კი შეუძლებელია. სხვა საკითხია, თუ რა მასალით აგებდნენ სახლებს ატლანტიდაში? თუკი ეს მასალა გრანიტი, ბაზალტი ან ქვიშაქვა იყო, ისინი დიდი ხანია, ქვიშად იქცეოდნენ, მთლიანად წაიშლებოდა ხისა და გამომწვარი აგურის შენობების კვალი. **თუ რამე გადარჩა, ეს მხოლოდ მარმარილოთი ნაგები სახლები უნდა იყოს.**

საგულისხმოა, რომ მრავალი მკვლევარი მიიჩნევს, რომ არანაირი პლანეტარული მასშტაბის კატაკლიზმი არ მომხდარა და ატლანტიდამ მშვიდად... ჩვენ დრომდე იარსება. **არის ვერსიები, რომ იგი მდებარეობდა აფრიკაში, მცირე აზიაში, ბრიტანეთის კუნძულებზე, ციმბირში, ამერიკაში ან, სულაც, ანტარქტიდაში.** თავდაპირველად მისი მოსახლეობა ბარბაროსებს იპყრობდა, რომლებიც მერე მოუბრუნდნენ და ის დღე აყარეს, რაც რომის იმპერიას მოუვიდა, შემდეგ კი დაუძლურებისა და დაქცევის გზა გამოიარა, ამიტომაც მის შესახებ მხოლოდ მითები და ლეგენდებიღა შემორჩა. კლასიკური ისტორიის მომხრეებს ეს ვერსია აბსურდად მიაჩნიათ, თუმცა კი ატლანტოლოგებს იგი მოსწონთ...

ისე, კაცმა რომ თქვას, რატომაც არა? მაგალითად, სულ რაღაც 300 წლის წინათ არავინ იცოდა, რომ ძველი ეგვიპტე ასეთი განვითარებული სახელმწიფო იყო, ხოლო ტროა მითიური ქალაქი ეგონათ. არადა, თუკი ატლანტიდა ნამდვილად არსებობდა, მაშინ კაცობრიობას საკუთარი ისტორიის გადაწერა მოუწევს.



ოთარ ტურაბელიძე

## სიყვარულო, ძალსა შენსა...

**„ვერტიკალურ და თანაც ბრუნვად“ სიყვარულთან დაკავშირებით უამრავი მითია შეთხზული, რომელთა უმრავლესობას მყარი საფუძველი არა აქვს და უფრო სავარაუდოა, რომ ვიღაცის იმედაცრუებას, გაუმართლებლობას, უიღბლობას ეფუძნებოდეს.**

ერთი ასეთი მითი იმაში მდგომარეობს, თითქოს რომანტიკული გრძნობები სამ წელიწადში ნელდება. სინამდვილეში კი სიყვარული შეიძლება მარადიული იყოს! ნიუიორკელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ადამიანს თავისი მეორე ნახევარი შეიძლება ღრმა მოხუცებულობამდე მგზნებარედ უყვარდეს.

ექსპერიმენტში 20-წლიანი სტაჟის მქონე წყვილები და ახლადდაქორწინებულები მონაწილეობდნენ. მოხალისეებს რამდენიმე წუთის განმავლობაში მეუღლეების ფოტოების ცქერა სთხოვეს, რა დროსაც ტომოგრაფი თავის ტვინის აქტივობას აფიქსირებდა. მიღებული მონაცემები რომ შეადარეს, მეცნიერები გაოცებულნი დარჩნენ: **ახალგაზრდა შეყვარებულთა და ასაკოვან ოჯახურ წყვილთა ტესტები ერთმანეთისგან პრაქტიკულად არაფრით განსხვავდებოდა.**



— მეუღლის ფოტოს ცქერისას ხანდაზმულ წყვილებში თავის ტვინის იგივე უბნების აქტივიზაცია ხდება, რაც ახალბედა ცოლ-ქმრებში, — განაცხადა გამოკვლევის ხელმძღვანელმა, ფსიქოლოგმა არტურ არონაიმ, — თანაც ამ დროს სიყვარულის ჰორმონის — დოფამინის ერთი და იგივე ოდენობა გამომუშავდება.

შემდეგი მითი ისაა, თითქოს მამაკაცებს მხოლოდ ლამაზი ქალები იზიდავენ, თუმცა, როგორც ირკვევა, **თუკი პერსპექტივაში ინტიმურ ურთიერთობათა დამყარებაა სავარაუდო, მამაკაცები მაინცდამაინც არ იპრანჭებიან.**

ჰოლანდიის გრონინგენის უნივერსიტეტის მეცნიერებმა 21-დან 25 წლამდე რამდენიმე ახალგაზრდა კაცს ხუთი წუთით ასევე ახალგაზრდა ქალიშვილთან ოთახში მარტო დარჩენა სთხოვეს. იმის გამო, რომ ქალიშვილი შესახედაობით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა, მეცნიერები ვარაუდობდნენ, რომ ყმაწვილები მისდამი საკმაოდ გულგრილნი იქნებოდნენ. მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა, რომ, როცა დათქმული დროის შემდეგ ახალგაზრდა მამაკაცები ოთახიდან გადიოდნენ, ტესტესტერონის ოდენობა მათ სისხლში რვა პროცენტით იყო მომატებული, რაც სქესობრივი ლტოლვის უტყუარი ნიშანია.

გამოკვლევის ერთ-ერთი ავტორის იენ კერნერის თქმით, **მამაკაცური ლიბიდო ქალებს ლამაზებად და შეუხედავებად არ ჰყოფს, ქალთა სქესზე მამაკაცის ორგანიზმის რეაქცია ქალის შესახედაობაზე დამოკიდებული სულაც არ არის, თუმცა კი ეს მხოლოდ 20-25 წლის ასაკის ქალებზე ვრცელდება.** მკვლევარის განცხადებით, ორგანიზმის ასეთი რეაქცია ბუნებამ გენეტიკურ დონეზე დააპროგრამა.

### „... ყველაფერი საუცხოო იყო, ახლა მოდი დავიძინოთ!“

სიყვარულის თემაზე მესამე მითი ისაა, რომ **ვნებიანი ლტოლვა — სიგიჟის გარკვეულინაირსახეობაა. სინამდვილეში კი სიყვარული ნარკომანიას ჰგავს.**

აღმოჩნდა, რომ შეყვარებულ კაცს და ნარკომანს მორფის მსგავსი ერთნაირი ჰორმონები, ენდორფინები გამოუმუშავდებათ. მათი მწარმოებელი თავის ტვინია და ტკივილის გაყუჩების თვისება აქვთ. შეყვარებულობის დროს ორგანიზმში ასევე გამომუშავდება ენკეფალინები, რომლებსაც აგრეთვე ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი აქვთ. სიყვარული — ეს მართლაც დამოკიდებულების გამომუშავებაა, რადგან, როცა ადამიანი რაღაც კარგს იღებს, მას ამის მიღება კვლავაც უნდება. ხოლო, თუკი მას ამის წყაროს წაართმევთ, „უდოპინგოდ“ იგი თავს ცუდად იგრძნობს.

სიყვარულის თემაზე, ცხადია, ბევრის თქმა შეიძლება, თუმცა კი როცა ლაპარაკი ინტიმურ ურთიერთობებს ეხება, ქალებისგან ხშირად გაიგონებთ, რომ თუკი სექსის შემდეგ პარტნიორი მაშინვე იძინებს, მაშასადამე, მას ქალი არ უყვარს. **სინამდვილეში კი თუკი მამაკაცმა სექსის შემდეგ „ხვრინვა ამოუშვა“, მაშასადამე თავისი სასიყვარულო თავგადასავლით იგი უაღრესად კმაყოფილია.**

უნდა ითქვას, რომ სქესობრივი სიახლოვის შემდეგ მამაკაცთა აბსოლუტური უმრავლესობა იძინებს, ქალები კი ამას აღფრთოვანებით არ აღიქვამენ, რადგან, მათი აზრით, სიყვარულს ალერსიანი, მადლიერებით აღსავსე სიტყვები უნდა მოჰყვებოდეს. ამიტომაა, რომ ბევრ მათგანს ეჭვი უჩნდება, რომ პარტნიორს მათ მიმართ გული გაუცივდა, ანდა სხვასთან ღალატობს. მაგრამ პატივცემულ ქალბატონებს ვამცნობთ, რომ ისინი ცდებიან და საქმე სულ სხვაგვარად არის!

მიჩიგანის უნივერსიტეტისა და პენსილვანიაში ოლბრაიტის კოლეჯის ევოლუციის ფსიქოლოგთა მიერ ჩატარებული გამოკვლევით დადგინდა, რომ სინამდვილეში სექსის შემდგომი „ძილქუში“ ქალბატონთა აქტიური ურთიერთობის სურვილის მოჭარბებას უკავშირდება.

— რაც უფრო მეტად უნდა ქალს შემდეგ ალერსი და ლაპარაკი, მით უფრო დიდია ალბათობა, რომ მის პარტნიორს ძილი მოერევა, — ამბობს ერთ-ერთი მკვლევარი დენიელ კრიუგერი. — ამ შემთხვევაში ძილი გაუთვითცნობიერებელი მექანიზმის როლს ასრულებს, რომელიც კაცს სხვისი აქტივობისგან იცავს — სექსის დროს მამაკაცები ხომ ქალებზე მეტად იღლებიან.

**ამასთან, აღმოჩნდა, რომ სექსის შემდეგ დაძინება მამაკაცებსაც და ქალებსაც ერთნაირად უნდათ, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ქალებს ლაპარაკი მამაკაცებზე გაცილებით მეტად სურთ...**

**სიყვარულთან დაკავშირებული კიდევ ერთი მითი ისაა, რომ ცხოვრების მეგზურს ჩვენ შემთხვევით ვხვდებით, სინამდვილეში კი საკუთარ იდეალს თითოეული ჩვენგანი მიზანდასახულად ეძებს.**

სიყვარულის ობიექტის მეცნიერულად გამოთვლა ჯერჯერობით შეუძლებელია, არსებობს მხოლოდ თეორიები. **ერთ-ერთის თანახმად, გოგონას რჩეული უფრო მამამისს ჰგავს, ბიჭისა კი — დედამისს.** სხვა მოსაზრებით, გულის რჩეული იმას ჰგავს, ვის მიმართ კაცს ბავშვობაში დაუსრულებელი გრძნობა — ფრუსტრაცია ჰქონდა. მაგალითად, ახალგაზრდა კაცს ჟურნალში ნანახი მსახიობი ქალი შეუყვარდა, ამან მასში ძლიერი ინსტინქტი გააღვიძა და მერე ის მუდამ მისი მსგავსი ქალებისკენ მიილტვის. ერთი სიტყვით, **ზრდასრულ კაცს გარკვეული იდეალი აქვს, რომელსაც იგი ცხოვრებაში დაეძებს.**

სხვა ვერსიით, **ქალისა და მამაკაცის ერთმანეთისადმი ლტოლვა განსაკუთრებულ სუნთა გამოყოფას უკავშირდება,** რომლებიც ერთმანეთის მიმზიდველობას ქვეცნობიერ დონეზე განაპირობებს. ისინი იმას მიგვანიშნებენ, თუ რაოდენ განსხვავდება ჩვენი რჩეულის გენური აპარატი ჩვენი საკუთარი ორგანიზმის გენური აპარატისგან. ამით თავად ბუნებამ ჩაგვიდო იმ ინდივიდის არჩევის მექანიზმი, რომლისგანაც ჯანსაღ შთამომავლობას მივიღებთ.

**ნინო ალექსანდრია**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### ყოველდღიური გაზეთებიდან



### „ვანო მერაბიშვილმა ციხეში დარჩენაზე უნდა ილოცოს“

— ამბობს აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე, — თუ ციხიდან გამოუშვეს, მაგას ხალხი ჩაქოლავს. მერაბიშვილმა ახლა იმაზე უნდა ილოცოს, რომ ციხეში რაც შეიძლება დიდხანს დარჩეს. ეს „ქართული ოცნება“ ისე გაიტაცა კოაბიტაციამ, „ნაციონალებთან“ ერთად ერთ სხეულად იქცნენ. მკვლელ მერაბიშვილს ციხეში აპარტამენტები მოუწყვეს და კომპიუტერიც კი დაუდგეს. მაგას ტელევიზორი კი არ უნდა დაუდგა, ცოცხი უნდა მიაყოლო უკან. არავის დაავიწყდეს, რომ მერაბიშვილი არის ადამიანი, რომლის დროსაც ასამდე ახალგაზრდა ქუჩაში დახვრიტეს.



**„ახალი თაობა“**

### ხუთი საფრთხე რუსეთიდან

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია ჩამოთვლის ამ საფრთხეებს:

პირველი — ეს არის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების მიწვევა ევრაზიულ საბაჟო კავშირში, მეორე — ესაა ე.წ. მეგრული სეპარატიზმის იდეა, მესამე — რუსეთის ფედერაცია აძლიერებს სამხედრო მზაობას — საუბარია სამხრეთ კავკასიაში რუსეთის დაჯგუფების გაძლიერებაზე, მეოთხე — რუსეთი გადავა საინფორმაციო ომის ყოველგვარ ფორმაზე და ბოლოს, კიბერომი, ანუ სავარაუდო, ხაკერების თავდასხმა იგივე ქართულ საიტებზე, რაც როგორც წესი, იმართება სპეცსამსახურების ხელით.

**„ალია“**

### ბათუმის ყინულის სასახლე ჩამოიშალა

დიდთოვლობისა და ძაბვის ხშირი ვარდნის გამო ბათუმის ყინულის სასახლე მთლიანად ჩამოიშალა. სასახლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ჯემალ ქაცვაძის თქმით, სასახლის აღდგენა 20 ათასი ლარი დაჯდება. ამინდის გამოსვლის შემდეგ მოვიწვევთ სლოვენიიდან სპეციალისტს, რომელმაც თავის დროზე ეს სასახლე გააკეთა.

**„რეზონანსი“**

**რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“**
299-62-77;
599 32-85-76.

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

— **ძვირფასო, მიშველე, დედაჩემი ფანჯრიდან აპირებს გადახტომას! — უყვირის აცრემლებული ცოლი ქმარს.**

**— რას ამბობ? რა საშინელებაა! სასწრაფოდ აიღე გასაღები, ჩაქანდი ეზოში და მანქანა გადააყენე!**

* * *

**ჩვენ უკვე დავიწყეთ უკეთ ცხოვრება, მაგრამ ეს არ გაგვიგია, რადგან თითქმის ერთი წელიწადია, რაც ტელევიზორს არ ვუყურებთ.**



* * *

**რაც არ უნდა იყოს, მაინც სასიამოვნოა, როცა სახლში გელოდებიან — ძაღლს უხარია, ცოლი იყეფება.**

* * *

**— ჩემმა ქმარმა უკვე მიატოვა სმა და ჩემი ღალატი.**

**— დიდი ხანია?**

**— ერთი თვის შემდეგ ორმოცი დღე იქნება...**

* * *

**საშუალო ასაკი — ეს ცხოვრების ის მონაკვეთია, როდესაც ჯერ კიდევ გჯერა, რომ ხვალ უკეთ იქნები.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24